


ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ


ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ । ଉଚ୍ଚକାଳୀନ ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ଏବଂ ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନର ଇତିହାସ



1930 ଫ.

ଓଜନିଶି

ପାରିଚିନ୍ତି



ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ :

ବର୍ଣନଲା ଫିଲ୍‌ଗ୍ରାହକାନ —	୧୯—ଗୁରୁ
ସାମାଜିକ ମନ୍ଦିରରେ ବିଜ୍ଞାନିକାଙ୍କ ମତାଶି —	୨. ତନ୍ତ୍ରବିଜ୍ଞାନ
ଜ୍ୟୋତିଷ ଜ୍ଞାନି —	୩. ବା—ଲୀଳା
ନାୟକିନ୍ଦ୍ରିୟରେ ବିଜ୍ଞାନିକାଙ୍କ ମତାଶି —	୪. ବାରଦାନି
ଉତ୍ତରାଧିକାରୀଙ୍କ ମନ୍ଦିରରେ ବିଜ୍ଞାନିକାଙ୍କ ମତାଶି —	୫. ମ.

ქართველი იუნივერტა გაფშირის ღრგანა

პარიზი, ივნისი 1930 წ.

Nº 5

Paris, June 1930.

ბ რ ძ მ ლ ა დ ი დ გ მ რ ა თ ა ნ

1121 წ. აგვისტოს 14-ს.

თავის წიგნში („ჯვაროსანთა დროიდან“) — ოთხი საისტორიო ნარკევი. პარიზი, 1929 წ.) ბ-ნი ზ. ავალიშვილი არკვევს ისტორიულ მოვლენებს, რომელთა მიხედვით საქართველო მოსჩანს მსოფლიოდან. ერთს ასეთ საერთაშორისო ხასიათის ისტორიულ მოვლენას ეხება ნარკვევი „გარშემო ერთის ომისა“, რომელშიაც განხილულია სელჩუკ-თურქმან—არაბთა კალიციისა და დავით II შორის მომხდარი ომი, რომელიც დაიწყო 1121 წ. 14 აგვისტოს, გაგრძელდა რვა დღე და დათვედა — დიდგორიდან ქ. ანისამდე მუსლიმანთა სრული ამოწყვეტით.

ესლა შეიძლება დასახელებულ იქნას ამ ომის გამომწვევი მიზეზები; უმთავრესად ისინი გამომდინარეობენ საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობიდან და მისწრაფებიდან.

ქართველი ერის ბედის მჭედელი დავით აღმაშენებელი იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე და სახელმწიფო ადამიანი, და ამავე დროს, უდიდესი სარდალი. ქვეყნის მპირობელის ბუნებაში ერთად მოთავსებული ეს ორი ნიჭი საშვალებას აძლევდა მას მახვილით განეხორციელებია სინამდვილეში თავისი ეროვნული მიზნები. მის მიზანს შეადგენდა: — ტფილისის საამიროს დამხობა და თურქების ბატონობისა უდედაქალაქის განთავისუფლება, თურქთა ძალებისგან ტერიტორიის გაწმენდა, სახელმწიფო საზღვრების გამაგრება და შემდეგ კავკასიური პოლიტიკის წარმოებით საერთაშორისო ხაზებზე შესაფერი პოზიციის დაწერა.

ამ მიზნების განხორციელებაში დავით II ხელს უწყობდა წინა-
ზიაში ის მოვლენები, რომელთა გასწრავ მას მოუხდა მოღვაწეობა. სწო-
რედ იმ დროს დაიწყო მუსლიმანთა ძლიერების შიგნიდან რღვევა და ამ-
ავე დროს ფრანგ ჯვაროსნებმა, იქრუსალიმის აღებისა [1099] და სირია
პალესტინაში სამთავროების დაარსების შემდევ, შექმნეს მათ წინააღმ-
დებ ძლიერი ფრონტი..

დავით II კარგად გამოიყენა ეს მდგომარეობა. შექმნა თუ არა სა-
ძევდრო ძალა, შეუდგა ჭვეყნის განთავისუფლებას და გამაგრებას. ტფი-
ლისის დაკარგვით თურქები ჰყარგვდენ ამიერკავკასიაში თავისი ძლიე-
რების ცენტრს და ამასთანავე ჰრებოდა მთი გავლენაც. მეორე მხრივ,
საქართველო ძლიერდებოდა და საზღვრების გამაგრების შემდეგ მის გა-
ვლენის სფეროში უნდა მოყვოლოდენ მუსლიმანთა ის მკვიდრნი, რომე-
ლიც მის მეზობლად ცხოვრობდენ.

რასაკვირველია: ამიერ-კავკასიაში თავის ბატონობის დაკარგვას
თურქები ვერ შეურიგდებოდნენ და მოინდომეს საქართველოს წამოჩოქება.

გარდა ამისა, იმ დროს ისლამის ძალთა მთელი ყურადღება მი-
ქცეული იყო სირია-პალესტინისკენ ჯვაროსნებზე; საქართველოს გაძლი-
ერებით კი ამიერ-კავკასიის სანაპიროებზე ჩნდებოდა ახალი პოზიციები,
ახალი სამხედრო ძალა, რომელიც სასიკვდილო დაკვრას უმზადებდა ზუ-
რგში ისლამის ძალებს.

ეს უკანასკნელი მოსაზრება დაუდეა სარჩულად მუსლიმანთა და
დავით II შორის 1121 წელს მომხდარ ომს, ფრანგ კანცლერმა გოტიემ,
რომელიც ამ ამბავთა თანამედროვეა და რომლის საყურადღებო ქრონი-
კა [«ანტიოქიის ომები — ომი II. მუხლი XVI»] დაწერილი 1122 წ., გა-
მოქვეყნა ბ-ნ ზ. ავალიშვილმა თავის შრომასთან ერთად.

ფრანგი კანცლერი ამბობს, რომ არაბ-თურქომანთა კოალიციის
ჯარების სარდალმა აღლაზმა «დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშ-
ქრობა გადასწყვიტა, ერთ ხორასნელ სულთანთაგან ერთად, რათა მისი
დაქცევის ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულიად შეუდგეს
იქრუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტეანთა ამოწყვე-
ტის»-ი. [ზ. ა. «ჯვაროს. დროიდან»].

ცხადია, ეს სტრატეგიული მოსაზრება სრულიად ეგუება მაშინ-
დელ მდგომარეობას, და ზედ ერთვის და ამთავრებს ამ ომის გამომწვევ
ნამდვილ მიზეზებს. უთუოდ, კარგად ქვეთდა ეს გათვალისწინებული
თვით ელლაზსაც., მაგრამ თურქმნთა საქართველოსაკენ გამოლაშქრების
მიზეზების მარტო ამ პირობით განსაზღვრა იქნებოდა მეტად ტენდენცი-
ური და ცალმხრივი; ცალმხრივი, ვინაიდან ამიერკავკასიიდან თურქმანთა

საქინააუმდეგო ძალის გამოჩენა და აქედან მათვეის შექმნილი საფრთხე პირდაპირი შედეგი იყო საქართველოს ეროვნული აღორძინებისკენ გა-
ქანების; ის გამომდინარეობდა საქართველოს ძლიერებისაგან; და რომ იმ
დროს საქართველო ეროვნულად არ გაძლიერებულიყო, ვერც ეს საფრთ-
ხე იარსებებდა და ვერც ელაზი გამოილაშერებდა ცარიელ აღილებში
საბრძოლველად.

ელლაზმა შეჰყარა თურქმანთა დიდი ლაშქარი და მოადგა ქართლს
დავით აღმაშენებელის დასამარცხებლად და საქართველოს დასასჯელად,
რომ ამით თავიდან მოეცილებია საფრთხე და კვლავ გაემაგრებია მუ-
სლიმანთა გავლენა და პრესტიუ კავკასიაში.

დიდგორთან მას დაუხვდა დავით აღმაშენებელი თავისი ჯარით.
ერთი მხრივ — რელიგიური და ეროვნული სიმაყით გალაცე-
ბული, სამხრეთის მხურვალე მზის სხივებით მკერდაფეთებულნი, არა-
ბული სისხლის ცხენებზე ცეცხლის ნამჟერად მომსკდარნი ელლაზის მხარ
ფიცხელნი თურქმანთა მებრძოლნი, რომლებიც, გრილ ბაღჩებში და მო-
ხალიჩებულ რბილ კარვებში მიწვენილ ემს-მინედილ ქალწულთა მოგო-
ნებაზე თვით სიკვდილსაც კი ეარშიყებოდენ, მეორეს მხრივ — დავითის
ხელით გაწრთვნილი ქართული ჯარი, — საქართველოზე სასიკვდილოდ
შეუყვარებულნი, მკერდ - ელვარე ცხენებზე აშოლტილნი, მხარ-ბედი-
თი და ხმალმაგარი ქართველთა და კავკასიელთა, «საბრძოლველად
ატებილი» მზეჭაბუკები, რომლებიც, ივერიის შუქ-მოვანებულ ქალწულ-
თა კალთებიდან წამოლებული ამბორით ვეტებსაც ეალერსებოდენ და რო-
მელთა საზეიმო და სასიკვდილო წყობის აღლუმს, ალბად, ბევრჯერ გაუვ-
ლია «ვეფხის ტყაოსნის» ავტორის თვალშინ, როდესაც ის თავის უკვდავ
გმირებს ჰქმნიდა, — წინა-აზიაში განთქმული ეს ორი ლაშქარი 1121 წელს
14 აგვისტოს, ქართლში დიდგორთან ბრძოლის ველზე ერთმანეთს შებლ
და შუბლ დაეტოლენ.

ცოტად თუ ბექრად მისაღები სწორი ცნობების უქონლობისა
გამო მნელია უტყუარი განსაზღვრა, თუ რა ძალები ჰყავდათ მოპირდა-
პირებს დიდგორთან ბრძოლის წინ. მიუხედავად ამისა, შენახული ცნო-
ბების განხილვით და მათთან დაკავშირებული სხვა და სხვა პირობის
გათვალისწინებით შეიძლება ცდა ორივე მხარის ძალთა განწყობილების
აღსადგენად, დაახლოვებით მაინც.

მათეს სომხურ ქრონიკაში ელლაზის ლაშარის რიცხვი აღნიშნუ-
ლია ციფრით 600.000, ხოლო დავით 11 — 60.000. გოტიეს ცნობით, ელ-
ლაზ ჰყავდა 800.000 მებრძოლი, დავით 11 კი 80.000. ძალთა აღმნიშვნე-
ლი ორივე ეს ციფრი არ შეეფერება სიმართლეს და მეტად დაშორებუ-
ლია სინამდვილედან.

ეს ამბავი მოხდა მეთორმეტე საუკუნის დამდეგს, მაშინ, როცა არ არსებობდა წერილობითი მოხსენებანა, არც მავთულიან თუ უმავთულო სატყეა და გასაგებაა, რაზე ეს ცრაპანი ატარებენ ზეპირ ხასიათს. ეს-სჩანს თვით ამ ცრაპათ, ციფრების ერთონართოან შედარებიდანაც, რომ ისანი ერთვეულ პლაზაზეც უძრავ და მარტივ ულებაშია არაა.

იმ დროს მთელი მაშინავე კაციზიანია კურადღება მიცყრობილი იყო საქართველოსკენ და იქიდან მაჟლ ცენტ გადარეცების თუ დამარცხების ამბავს. იქნებ ბევრი არც და იქედან ამკარებდა დავით მეორეხე! ხოლო როდესაც დავითის თურქმანთა ლაშარჩე ბრწყარვალე გამარჯვებამ დიდი დღესასწაული; ზემინ და სიხარული დაატეხა თავს საქართველოსა და ჯვაროსნებს; ნერვების აწევის ასეთ მომენტში, როდესაც ყოველი ცნობა კაციდან კაცზე ვრცელდებოდა, ბუნებრივია, უნდა დამყარებულიყო ისეთი ფსიქოლოგიური ჯანმყობილება, რომლის დროსაც გაადიდებდენ ელდაზის ლაშარის რიცხვს და თანაბრად შეამცირებდენ დავითის ჯარისას, რომ მოვლენისთვის მეტი მნიშვნელობა მიეცათ.

დავით მეფეს ჰყავდა დიდგურთან ბრძოლაში გაცილებით მეტი მებრძოლი ვინერ ამას საისტორიო ცნობანი აღნიშნავენ.

უნდა გათვალისწინებულ იქნას ის გარემოება, რომ დიდგორის ბრძოლა არ იყო მოულოდნელი დავითისათვის; ელდაზს არ შეეძლო სასწრაფო თავდასხმით დაეტეხა საქართველოს მეფისათვის ომი მოულოდნელად. ისეთ გამჭრიას პოლიტიკოს და მხედარს, როგორიც დავით მეორე იყო, შეუძლებელია არ სცოდნოდა თუ რა შედეგი მოპყვებოდა მის მოღვაწეობას, რომ მისი პოლიტიკური და სამხედრო ნაბიჯები გამოიწვევდენ რეაქციას და მას მოუხდებოდა ომი თურქებთან. ამ მოსაზრებას ამრგვიცებს ის ფაქტი, რომ დიდგორის ბრძოლის ველზე, ჩვენ ვწერავთ, გამოსული არიან. ოს-ხერი ეზ-შირკანელთა მებრძოლები. იმ შემთხვევაში, რომ ეს ომი დავითისათვის მოულოდნელი ყოფილიყო, მაშინ დელი უგზოობისა და ჯარების გადაყანის სიძნელის გამო, ის ვეს შესძლებდა მოკავშირე ერებიდან ასე სწრაფად ბრძოლის გელთან მეომრების მოყვანას. მეტიც შეიძლება ითქვას. დავით მეფემ თითქმის განახორციელა თავისი გრანიონზული გეგმა და საქართველოს გარშემო შეჰქნა ამ-კავკასიის ერების ერთგვარი გავშირი, რომლის ჯარები იბრძვიან 1121 წლის ომში თურქმანთა თავდასხმისგან კავკასიის დასაცავად. ამის-თვის კი საჭირო იყო წინასწარი მომზადება.

რა ძალების მობილიზაცია და გამოყვანა შეეძლო დავით აღმაშენებელს 1121 წლის ომში?

ცნობილია, რომ დავით მეორემ 1118 წელს დაარსა ყივჩაყთა

მუდმივი ჯარი 40.000 «შეობად განმაჯალნი». (პრ. ივ. ჯავახიშვილის სამართლის ისტორია), ტ. მე-2, წიგ. 1.). მაშასადამე: მეფე 40.000 მებრძოლი მუდამ მზად ჰყავს ომისათვის. გარდა ამისა, საქართველოში იმ დროს არსებობდა პატრიონ-ყმური ჯარი. ამასთანავე ისტორიული ცნობანი ამოშმებენ დიდობრის ბრძოლაში ოს-ჩერქეზ-შირვანელთა მეომრების მონაწილეობას. მაშასადამე: მუდმივი ჯარის გარდა, დავითის უნდა შეეკრაპა ქართულ, პატრიონ-ყმური ჯარი და ოს-ჩერქეზ-შირვანელთა მებრძოლები. და ძნელი დასაჯერებელია მათეს და გრტიეს მიერ აღნიშნული ცნობანი, რომ პატრიონ-ყმური და ოს-ჩერქეზ-შირვანელთა ძალა პირველის მიხედვით უდრიდა 20.000, მეორეს მიხედვით 40.000-ს. საქართველოს მპყრობელს აქ მეტი შანსი ჰქონდა შეეკრიბა გაცილებით მეტი ჯარი, ვინვე ეს ციფრები აღნიშნავენ. პატრიონ-ყმური და ოს-ჩერქეზ-შირვანელთა ძალა დაახლოებებით უნდა ყოფილიყო 60.000; ამას უნდა დაემატოს ქართული მუდმივი ჯარი, ასე რომ: დიდობრის ბრძოლის წინ დავით მეორეს ჯარის რიცხვი უნდა განისაზღვროს ციფრით 100.000.

კოალიციის ჯარების შესახებ ცნობა, როგორც ბ-ნი ზ. ავალ—ი ბრძანებს, ფანტაზიად უნდა ჩაითვალოს; თუმცა ფრთხილად, მაგრამ მაინც გამოვსთქვამთ აზრს, რომ «დროის და კონომიური შესაძლებლობანი» ვერ შეუმლიდენ ხელს ელდას შეეგროვებია მრავალრიცხვოვანი ლაშქარი საქართველოშე გამოსალაშქრებლად. მით უმეტეს, მის განკარგულებაში იყო ვეებერთელა ტერიტორია, დასახლებული მუსლიმანთა ტომებით, რომელნიც ანთებული იყვენ ისლამის სარწმუნოებით და გამჭარებული ჯვაროსნების შემოსევით. ეს გარემოება მეტად გაუადვილებდა მას ჯარის შეკრებას. ჯარისთვის სანოვაგეს და საკვებ მასალასაც საკმაოდ იშოვიდა სამუსლიმანო ქვეყნებში. ელდაზი ხომ წინდაწინვე დაიმედებული იყო თავის გამარჯვებაში და დამარცხებული საქართველოს სიმდადრეც მხედველ აშ, ენებოდა. იქნებ სხვა მოსაზრების გათვალისწინება უფრო არვევედეს, მიახლოებით, ქართლში შემოსულ არაბ-თურქომანთა ლაშქარის რაოდენობას!»

ალექსანს მთავარს ელდაზს დიდი გამოცდილება და სახელი ქონდა მოხვეჭილი ფრანგ ჯვაროსნებთან ბრძოლაში და ნიჭიერ სარდლად ითვლებოდა. თუმცა მან არ იცოდა ქართული ჯარის გენიალური საბრძოლო წყობა და არც ის, თუ რა მწვერვალისაკენ მიმართა დავით მეორემ ქართული სამხედრო მეცნიერების განვითარება, მაგრამ ელდაზს, როგორც განთქმულ მოლაშქრეს, არ შეიძლება არ სცოდნოდა თუ რა რიცხვანი ჯარით დაუხვდებოდა მას საქართველოს მეფე გაეგასიაში:

და ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ სარდალმა თავის მოპირდაპირულება
რვაჯერ ან ექვსჯერ მეტი ჯარით წამოვიდა საბრძოლებლად. როგორც
ბრძოლებში გამოცდილ სარდალს, მას უნდა ცოდნოდა, რომ ამ ვეებერ-
თელა საბრძოლო მასსას საქართველოს ვერც ერთ მიდამოზე ვერ გაშლი-
და, ბრძოლაში ერთიანად ვერ შეიყვანდა და ვერ გამოიყენებდა. გარდა
ამისა, მართალია ჯვაროსნების ფრონტზე დროებითი სიწყნარე იყო და-
მყარებული, მაგრამ ვერც ამ ფრონტს მიატოვებდა სრულიად გაშიშვლე-
ბულს თავისი ჯარების ჭურგში.

არაბთურქომანთა ძალების შესახებ ცნობათა გასინჯის და ზემო-
მოტანილ მოსახურების გაფალისწინების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ
დიდგორის ბრძოლის შინ ელდაზს დავითის ძალებზე დაახლოვებით სამ-
ჯერ მეტი ე. ი. 300.000 მეტრძოლი უნდა ჰყოლოდა.

თვით სამხედრო მოქმედების შესახები წყაროები და განსაკუთ-
რებით კანკლერი გოტიეს ცნობა ადასტურებს, რომ დიდგორთან თურ-
ქების ლაშებაზის ერთი ნაწილის დამარცხების შემდეგ ელდაზმა დაიხია
ანისის მიმართულებით; მას დაედევნა დავით მეფე და სრულიად ამოსწ-
ყვიტა მისი ძალა; ამის-და მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ დიდგორთან
ბრძოლის სურათი, თუ რა პირობებში მოხდა ის და როგორ აწარმოვა
დავითმა ბრძოლა.

ელდაზი მოძრაობს ომის ასპარეზზე, როგორც მას სურს: უნდა
დაესხას თავს თავის საფინალმდევეს და ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ
მოქმედების თავისუფლება მის ხელშია; მაგრამ რა გენიალური სარდალი
იქნება დავით მეფე, რომ ბრძოლის მოგების ეს შანსი მტერს გადაცეს
ხელში! ის ხედავს, რომ მტერი მოძრაობს მის საკუთარ ტერიტორიაზე;
ამისათვის ირჩევს მიდამოს, რომელზედათ მტერს უნდა დაუხვდეს. ეს
პოზიციები იყო დიდგორთან, «ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა და-
ბურულ ტყეში».

დავითმა აირჩია ისეთი მიდამო, რომელიც წარმტებას აძლევდა
ბრძოლაში და ეგუებოდა მის გეგშას. შეიძლება მტერს არ უნდოდა აქ
ბრძოლა, რადგან მისთვის სახეირო არ იყო, მაგრამ იძულებული იყო
ებრძოლა, ვინაიდან ასე ინება ქართველმა სარდალმა და მის ნებას უნდა
დამორჩილებოდა მტერი. აქ ჯერ ბრძოლა არ დაწყებულა და უკვე და-
ვით მეფე თავის ნებას მოწინააღმდეგეს ახვევს თაუზე.

მაგრამ დიდგორის პოზიციების შინ თავისი მრავალ-რიცხოვანი
საბრძოლო ძალა ელდაზს მაინც თავისუფლებას აძლევდა საკუთარი
გეგმით დაეწყო ბრძოლა, ჩაეფუშა დავითის ჯარის წყობა და დაემარცხე-
ბია ის.

გავშინჯოთ ყველა შესაძლებლობა, თუ როგორ უნდა შესული-
ყო ბრძოლაში თურქების ლაშქარი.

პირველი შესაძლებლობა: — არაბ-თურქომანთა ლაშქარი მოძ-
რაობდა გრძელ კოლონად სიღრმეში, გაყოფილი სამ ნაწილად; მაშასა-
დამე, იქნებოდა: წინამავალი — I არმია, შუამავალი — II არმია და
ზურგმავალი — III არმია. მათ შორის დაცული იყო ერთვარი მანძი-
ლი. ამ წყობის მიხედვით, ყველაზე ადრე საბრძოლო მოქმედებას დაიწ-
ყებდა წინამავალი და შემდეგ ბრძოლაში შემოვიდოდენ დანარჩენი ძალები.

მეორე შესაძლებლობა: — მოქმედების დაწყების წინ არაბ-თურ-
ქომანთა ლაშქარმა მიიღო სამკუთხედი წყობა. ასე რომ, როდესაც I არ-
მია დაარტყამდა ბრძოლის ველს კედარობზე, მე-II და III არმიები შე-
მოუტევდენ დავითის ჯარს მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე.

მესამე შესაძლებლობა: — ელაზმა მოაწყო ღრმა სტრატეგიუ-
ლი შემოვლა პირველ ან მეორე კომბინაციასთან დაკავშირებით.

ეს მესამე მოსახრება უნდა უარყოფილ იქნეს. არ ყოფილა არა-
ვითარი შორეული შემოვლა თურქების მხრივ.

მეორე სქემის მიხედვით, ელაზმი იწყებს ბრძოლას ბრძოლის
ველის კედარობზე და ამავე ღროს მე-II და III არმიები უტევენ დავი-
თის წყობის მარჯვნიდან და მარცხნიდან, რომ შემოხალთონ მისი ფრთე-
ბი. შესძლებდა თუ არა ელაზმი თავისი ძალების ფრთებზე დაკვრით
შეეჭმნა დავითის საბრძოლო წყობისათვის ხიფათი და იქნებოდა თუ არა
ეს მოულონელი ქართველი სარდალისათვის?

ვინც დავითის ჯარის საომარ წყობას დააკვირდება, ის დარწმუ-
ნდება, როს ამ სარდალს ყოველთვისა და ყოველ ბრძოლისათვის მხადა
აქვს გეგმა; მაგრამ სხვა და სხვა პირობებში მოქმედობს ისე, როგორც
ამას ბრძოლის მსელელობა- და საკუთარი ნიჭი უკარნახებს. მთელი ჯა-
რი გაყოფილი ჰყავს ოთხ ნაწილად: — 1) წინა სპა, 2) მარჯვნიდან მიმ-
სვლელ-მცემელნი, 3) მარცხნიდან მიმსვლელ-მცემელნი და 4) როქის სპა;
ბრძოლას იწყებს წინა სპა. ამავე ღროს მარჯვნიდან და მარცხნიდან მი-
მსვლელ-მცემელნი ჩნდებიან ბრძოლის ველის ფრთებზე და იწყებენ მო-
ქმედებას. როქის სპა იგზაუნება იქ, სადაც ამას ბრძოლის საჭიროება
მოითხოვს, ან მის დავალებას შეადგენს უკუ-ქცეულ მტრის ხელის მო-
თავება.

აქედან აშკარა ხდება, რომ ელაზმი ვერ დაატეხდა თავს მოუ-
ლონელ ხიფათს დავითს. მოქმედების დაწყებისათანავე თურქმანთა
ლაშქრის ცენტრის ძალებს შეუტევედა ქართული წინა სპა, ხოლო ფრთე-
ბზე შემომტევ არმიებს შეხვდებოდენ მარჯვნიდან და მარცხნიდან მიმ-
სვლელ-მცემელნი; აქ ვხედავთ, რომ ორივე მოპირდაპირის თითქმის

მთელი ძალები იწყებენ მასშედებას და, იბრძვიან სამკვდრო-სასიცავო ლოდ; მაშასადამე, მთავარი შეტაკება აქ ხდება და ომიც უნდა გათავდეს დიდგორის პოზიციებზე. მაგრამ ეს ასე არ მომხდარა!

ვიცით, რომ წააგო თუ არა ელლაზმა დიდგორის ბრძოლა თავისი დიდი ძალებით უკან დაიხია. დავითი განაგრძობდა იერი მებს უკუ-მსვლელ მტერზე. მოხდებოდა რამადენიმე ბრძოლა — და ბოლოს დავითმა მოსპონ თურქომანთა ლაშქარი. ამას ამბობს გოტიერი: — «და გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანქალზე გაცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ მეფის მახვილითა»-ო. [იხ. ზ. ავ-ლი: «ჯვაროსანთა დროიდან】

როგორც ვხედავთ, შეუძლებელია ბრძოლა მომხდარიყო მეორე სემის მიხედვით და ამიტომ მეორე შესაძლებლობაც უნდა უარვყოთ.

რჩება პირველი მოსაზრება, რომელიც უფრო სინამდვილით გვახატავს დიდგორის ბრძოლის სურათს და რუქას.

ყველაზე აღრე ელლაზის წინამავალი არმია შემოვიდა ბრძოლის ველზე; აյ მოწინააღმდეგეთა ძალები თითქმის თანაბარია. და თუ სწორედ ეს წინმავალი რაზემი შეიტა დავითის დაკვრის პირველი მსხვერპლი — აშკარაა, რომ ქართველმა სარდალმა აქ გამოიჩინა მთლიანად მომედების თავისუფლება, რომელზედაც რაამყარა თავისი გეგმა. — და რომ გეგმა შედგენილი პქონდა, სხანს გორიეს ცნობიდანაც: — «ხოლო მეფე დავით, ამდენ სიმხეცეს მოთმინებით განიცალას, და თავისიანებს მამაცი სულით ამხენებს და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ ურჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმიდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით და სწრაფად დაითრგუნება.» — აյ რეგავს დავითის რკინის სული! მოსხანს სარდალი, რომლის საბრძოლო გეგმა ლოლიკის გარდაუვალ კანონებით უნდა განხორციელდეს, უცდის ამ მომენტს და თვითონ დარწმუნებული სხვებს ამხევებს.

როდის დაიწყებოდა იერი შები? — ბრძოლის ასპარეზის წრეში შემოსული მტერი არ დაისვენებდა და ვერც დავითი დაესხმებოდა თავს დასვენების დროს. შეაძლება პირველი დაკვრა მოხდა, როდესაც მტერი სამგზავრო წყობით მოძრაობდა! მაგრამ მაშინ დავითიც, მთელი თავისი საბრძოლო წყობით, უნდა გადასულიყო მოძრაობაში, რაც ტყით დაბურულ გორაკებზე და ხევში შეტაც რთულ სიძნელეს წარმოადგენს. უთუოდ, დაითს არჩეული პქონდა პოზიციები და უცდიდა მტრის მოახლოებას; ხოლო როდესაც მოპირდაპირე მოუახლოვდა, პოზიციები ალმოაჩინა და საბრძოლელად უნდა დაწყობილიყო, სწორედ ამ მომენტში დაიწყო დავითის წინა სპის იერი შები.

შევნიშნავთ, რომ გოტიეს ცნობა, თითქო მეფემ «ორასი ფრან- გის მეომარი რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მი- ს ცემად», — და შემდეგ კიდევ ურჯულონი «პირველ შეტაჭებასათა- ნავე ბრძავდებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან», აღფრთო ვანებული ადამინის ფანტაზიად უნდა ჩაითვალოს. პირველი დაკვრა ში- სცა წინა სპამ, რომელშიაც მეფეს ოცი ათასი მებრძოლი უნდა ჰყოლო- და; შესაძლებელია, წინა სპიდან გაგზავნილ იყო «ორასი ფრანგის მეომა- რი» მტრის მოძრაობის დასახვერავად, მაგრამ ისინი პირველ დაკვრას ვერ მისცემდენ!

როდესაც ქართულმა წინა სპამ ფრონტალური იერიში მიიტანა თურქომანთა ძალებზე, სწორედ ამ მომენტში დაიწყებოდა მარჯვნიდან და მარცხნიდან მიმსვლელ-მცემელთა რაზმების შეტევა ორივე მხრიდან — და ამგვარად, დავითმა ელლაზის წინმავალი არმია ტომარაში ჩააგდო და სამივე კედაროდან დაკვრით სწრაფად გაანადგურა.

ეს მარცხი შეაკრთობდა ელლაზს. მაგრამ ის გამბედავი სარდალი არის, ორჯერ მეტი ძალა, სრულიად დასვენებული, კიდევ ხელთა ჰყავს. მოწინაალმდების პოზიციები და ძალაც გამორკვეულია. ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშებდა და მთელი თავისი ძალებით გააფთრებით და- ატყდებოდა თავს დავითის ნაბრძოლებ და აშლილ ჯარებს. მაგრამ ასე არ მოიქცა და უგან დაიხია. მაშ; უნდა მომხდარიყო სხვა ფაქტი, რო- მელმაც პირველ მარცხთან ერთად თავზარი დასცა მას და საჩქაროდ მოცილდა საბედისწერო ბრძოლის ეფეს, რომ უზრუნველყო უკანდახევა

ამ მოვლენას კარგადა ხსნის და ნათელსა პიფნს მხოლოდ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ როდესაც ქართულ მარცხნიდან მიმსვ- ლელ-მცემელთა რაზმმა შეუტია თურქომანთა წინმავალ არმიას გვერდი- დან, ამავე ღროს ის დაემუქრა არაბ-თურქომანთა ლაშქარის ზურგის გზას, — და როდესაც ელლაზმა დაინახა — წინმავალი განადგურებულია და მტერი ზურგში გამოჩნდა, — რომ ქართველი სარდლის ქანჩში არ მოჰყოლოდა, სწრაფად დაიხია უგან.

დავითი ხედავს: — თუმცა პირველი ბრძოლა მოიგო, მაგრამ მტრის მთავარი ძალები გადარჩა და მაშასადამე; — ომი გაგრძელდება. მტერს კიდევ აქვს საშვალება ხიფათს თავი დაალშიოს, დალაგდეს, უკე- თესი მომენტი ხელში ჩაიგდოს და განაახლოს ბრძოლები!

მაგრამ გენიალური დავით მეფე გამარჯვებას მტერს არ გადა- ცემდა! როქის სპიტ ის სწრაფად იწყებს დეკნას, რომ ამასობაში თავის დანარჩენ რაზმებს საშვალება მისცეს მიიღონ ჩვეულებრივი წყაბა და შიმდეგ, გაქცეულ მტერს ხელი მოუთავოს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამსახურის მიერ გამოცემის სახელი

დიდი შეტაკებანის ბრძოლის შემდეგ იქნებოდენ დიდი შეტაკებანის რომლებზედაც წყაროები არაფერს ამბობენ. ამას ამტკიცებს, გოტის ცნობით, თვით ელდაზის ამ შეტაკებებში დაჭრა. ის აღბად გააფორებით იბრძოდა და თან იხევდა უკან, რომ გადაერჩინა თავისი ძალები დავითის რკინის მუშტებისაგან. მაგრამ მისი ძალები ქ. ანისამდე სრულიად მოსპობილ იქნა და თვით ელდაზი, თავში დაჭრილი, ძლიერ გადარჩა სიკვდილს.

ბ-6 ზ. ავალიშვილის გამოკვლევის შემდეგ, ასე გვეხატება 14 აგვისტოს მომხდარი დიდგორთან ბრძოლა და 1121 წლის ომი, რომელმაც საქართველოს დიდი ეპოქა შეჰქმნა.

ე ჩ — გ უ რ

ს ა მ ა რ ი

მ ა ქ მ ე დ ე ბ ა ნ ი მ თ ა შ ი

მთაში სამხედრო მოქმედებათა წარმოებას, რომელ ქვეყანაშიაც ის არ უნდა ხდებოდეს, და მიუხედავად მთის გარეგნული სტრუქტურისა, აქვთ ერთმანეთში ბევრი ანალოგია და მათ საერთოდ ახასიათებს სამხედრო თვალსაზრისით, განსაკუთრებული ძნელი პირობები. —

ამ განსაკუთრებულ პირობებს დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს, როგორც ჯართა უფროსობამ, აგრევე თვით ჯარმაც.

იმ მხედართათვის, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ სამხედრო მოქმედებაში კავკასიის ფრონტზე ან კარპატებში, ამ წერილში ახალი არაფერი იქნება, მაგრამ ისინი კი, ვისაც მთაში საომარი მოქმედებანი არასდროს არ უნახავთ, გაეცნობიან მთაში ცხოვრებისა და დიდ სიმაღლეებში ომის წარმოების განსაკუთრებულ პირობებს და მეტადრე პრაქტიკულ დეტალებს რომლითაც მათ შეეძლებათ სარგებლობა თავიანთ (ერთეულების) ნაწილების მოსავლელად და საუფრო სოდ. —

ამ წერილის ელემენტები ამოკრეფილია სხვა და სხვა წესდებით დან და სახელმძღვანელოდან, როგორც მაგალითად:—

1. სახელმძღვანელო მთიან ადგილებში მომქმედ ჯართათვის; შედგენილი დენ. მანქენის თანამშრომლობით.

2. მთაში საომარ მოქმედებათა განხილვა: ოეიტენ. კოლონელ აბადის მიერ.

3. გრენობლის სამთო, სასწავლო და სავარჯიშო ცენტრის ნაშრომთა კრებული და სხვა.

მოკაზმულობა — ტვირთი — შეიარაღება

ჯარისკაცის მოკაზმულობას და მისი ტვირთის რაოდენობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მთაში მოქმედების დროს, ვინაიდან მთაში ომის წარმოებისას მოძრაობის უნარს და მანევრობას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცეცხლის სიძლიერეს და ჯართა მრავალრიცხოვნებას.

თუ გვინდა ჯარს შევუნარჩუნოთ მოძრაობის უნარი და ფიზიკურად არ მოვქანცოთ, დიდი ყურადღება უნდა მივაჭიოთ ჯარისკაცის მოკაზმულობასა და მის ტვირთს.

ჯარისკაცის ტვირთი. საზოგადოთ მიღებულია, ჯ.კ-ს ტვირთი არ უნდა აღემატებოდეს მისი საკუთარი წონის ერთ მესამედს. ეს ტვირთი უნდა ჩაითვალოს მაქსიმუმად და ყოველი ლონისძიებით უნდა ვეცადოთ ამ წონას არ გადავაცილოთ. ტვირთის საშუალო წონა უდრის 25 კილოგრამს.

ტანისამოსი. ჯ.კ-ის ტანისამოსი ზაფხულში შეიცავს: —

1. ტილოს ტანთსაცმელს,
2. პაჭებს,
3. ფანელის სარტყელს,
4. ერთ ჩანთას საგზალისათვის,
5. ერთ ჩანთას მუნიციისათვის,
6. არ ჩარექიან ერთ ბიღონს,
7. კარავის ტილოს,
8. ორ-ხელ საცვალს,
9. ფარაჯას.

ჯ.კ-ი თავის ფარაჯასა და კარავის ტილოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეყაროს; ესენი აუცილებელი არიან წვიმისა და სიცხის წინააღმდეგ და ბანაგის მოსაწყობად. ალვნიშნავ შემდეგ მაგალითს: —

ახალგაზრდა ოფიცერმა ბრძანება მიიღო, საჩქაროდ წაეყვანა თავისი მწყობრი ერთ-ერთ ჯარის ნაწილის მისაშველებლად, რომელიც მთებში მოქმედებდა. ოქტომბრის დამდეგი იყო და ჯერ კიდევ საკმაოდ თბილოდა. ოფიცერმა მწყობრი იმდენათ შეამსუბუქა, რომ არც ფარაჯა და არც კარავის ტილო თან არ წაალებია. ყოველივე ეს კამიონებით უნდა მიეტანათ მწყობრისათვის, დანიშნულ ადგილზე. საუბედუროდ, საშინელი წვიმა მოვიდა, ნიალვრებმა გზები გააფუჭეს და კამიონები ტალახში ჩაიფლენ ადგილიდან დაძრისათანავე.

მწყობრი დარჩა ერთი დღედადამე წვიმაში და სიცივეში, უკარ-
ვოდ და უფარავოდ; იძულებული იყო ადგილობრივ მოეცადა, ვიდრე
სასაპალნე ჯორებით მას მოუტანდნე საცვალს, კარვებს და ფარაჯებს.

გარდა ყველა ზემოხსენებული ტანისამოსისა, თვითეულ ჯარის-
კაცისათვის უნდა გადატანილ იქნას საპალნეთა საშვალებით, მწყობრე-
ბად განაწილებული. მოკლე საბნები (კუვრ-პიე); თვითეულ საბანზე უნ-
და გარკვეულად ეწეროს გუნდის ნომერი, ჯ-კ-ის გვარი.

უკვე სეჭტემბრიდან დამით ძალიან ცივა და მაუდის ტანისამო-
სი უნდა იქნეს დარიგებული. ფანელის სარტყელი კი ზამთარში მუდამ
უნდა ერტყას ჯ.კ.-ს. ბევრ ავადმყოფობას ამ საშუალებით თავიდან ავი-
ცილებთ.

ფეხსაცმელი . მთაში სასიარულოდ საჭიროა სპეციალურად
დალურსმული ფეხსაცმელები.. ასეთი ფეხსაცმელი აადვილებს აღმართ-
ში და კლდეებზე სიარულს, მაგრამ საუბედუროდ, მათი ფასი ძალიან
მაღალია.

უბრალო ფეხსაცმელი კი მთაში და ქვებზე სიარულისას ძლიერ
ადრე ფუჭოება, ქუსლები და ძირები მაღლ ძერება. ამის გამო, ყოველ
გუნდის უფროსს უნდა პერნდეს გუნდში პატარა სახარაზო იარალები და
მასალა განსაკუთრებულ ყუთში. და აგრეთვე რამოდენიმე წყვილი ფეხ-
საცმელი, თუ არ უნდა რომ თავის გუნდში ზოგმა ჯარისკაცმა ფეხშიშ-
ველა იაროს.

მოკაზმულობა . ჯარისკაცის მოკაზმულობას განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა აქვს მთაში მოქმედებისას. ყოველი შეწუხება და
ზედმეტი სივიწროე ნამდვილი ტანჯა არის დატვირთულ ჯარისკაცისა-
თვის აღმართ-დაღმართ სიარულის დროს.

ტვირთი ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ პირველად ყოვ-
ლისა, ხელს არ უშლიდეს სიარულში და სროლაში.

მეორედ: — ტახი და გულმკერდი დასტოვოს თავისუფლად, რა-
თა ჯარისკაცმა შესძლოს კარგად სუნთქვა.

მესამედ: — მისი სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს სარტყელთან
[წელთან] ახლოს.

და მეოთხედ: — დასვენებისას ადვილი იყოს მისი მოხსნა და
შესაძლო იყოს ჩქარა აკიდებაც.

საუკეთესოა და დიდათ პრაქტიკული მთაში მომქმედ ჯარისათ-
ვის «ტიროლური ჩანთა», რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ზემოხსე-
ნებულ მოთხოვნილებებს.

ს ა გ ზ ა ლ ი . ჯ . კ ა ც ს უნდა ჰერცოგების თავის საგზალის ჩანთაში უკანასკნელი । კერძი ცივი საჭმელი, გუნდის სამზარეულოში დამზადებული, რომელიც ჯ . კ ა ც ტ ე დ ლ ე ვ ა თ მოქმედებათა დაწყების პირველ დღეს და აგრეთვე ყოველთვის, როცა შესაქლებელი არის . [ცივი საჭმელი შესდგება მოხარშული ხორცისაგან (რეპა ფრუა) ან-და კონსერვებისაგან].

გარდა ამისა, მას უნდა ჰერცოგების ერთი დღის სამყოფი ე . ი . ორი ჯერი საჭმელი . ეს საგზალი შესდგება : — ყველისა, გამხმარი კუპატებისა და კონსერვებისაგან .

სასმელად თვითეულ ჯ . კ -ს აქვს ორ-ჩარექიანი ბიდონი და ისეთ ადგილებში კი, სადაც წყალი იშვიათია ან კიდევ უვარგისია, საჭიროა თითო ჯ . კ -ზე ოთხი ჩარექი წყალი .

რაზმის საბარგოში უნდა იყოს ორი დღის საკმარისი საგზალი და თვითეულ გუნდისათვის ორი 50 ჩარექიანი კასრა წყალი .

ი ა რ ა ლ ი და მუნიციპია . ჯ . კ -ის შეიარაღება მთაში სამოქმედოთ განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს . ხოლო მუნიციპი მხრივ პირობები განსხვავდებიან, ვინაიდან საბრძოლო საბარგოები [ტრენ დე კომბა] ხშირად მორს არიან და მომარაგების საკითხი უფრო რთულდება, ვიდრე ბარში და ადვილ გზებზე მოქმედებისას, რის გამოც ხშირად ათასეულის უფროსები იძულებული, არიან გაადიდონ ინდივიდუალური წილი მუნიციპი ისა, შეტევაზე გადასვლის წინა დღით, რომ ამრიგად იქონიონ ცოტი მეტი მომარაგება ვაზნების და ყუმბარებისა .

განსაკუთრებით საჭიროა და გამოსადეგი თოფით სასროლი ყუმბარა, რადგან მთაში ეს ყუმბარები ძალიან კარგად იხმარებიან და მათი პარა მომარაგების ქონა ფრიად მიზანშეწონილია . —

და ს კ ვ ნ ა . ყველა ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ჯ . კ -ი მთაში უფრო დატერიტულია, ვინემ ბარში . ვინაიდან საჭიროა მან თანატაროს მუდამ, რაც მას სჭირდება საცხოვრებლად და საბრძოლოდ . რადგან საბარგოები ხშირად უგზოობის გამო ძალიან შორდებიან მებრძოლ ნაწილებს, — ჯ . კ -ის ტვირთის წინა აღწევს 25 კილოგრამს და ამ ტერიტორის შემცირება შეუძლებელია .

მეორე მხრივ, ჩეკნ დავინახეთ, თუ რამდენათ საჭირო იყო ჯ . კ . შემსუბურება სამანევროდ და ჩერა სამოძრაოდ .

უნდა გამოვტყდეთ, ძლიერ ძნელია ამ ორი თვალსაზრისის შეთანხმება და დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა .

ჯ . კ -ი ყოველთვის მძიმედ იყო დატვირთული და მომავალშიაც ეჭვს გარეშეა, უფრო მეტად თუ არა, ნაკლებ არ იწება დატვირთული,



რადგან იარაღთა ჩქარსროლა ვითარდება, ტყვიამფრქვევთა რიცხვი მრავალ
ვლდება და ყველა ეს იწვევს მუნიციპის ინდივიდუალური წილას გადი-
დებას. მაშასადამე, ტვირთის მომატებას.

აი სწორედ, ამიტომ უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილათ ზედ-
მეტი ტვირთი და ჯ.კ-ს ვაჰიდევინოთ მხოლოდ ის, რაც აუცილებლად
საჭიროა მისთვის, საბრძოლოდ და საცხოვრებლად.

ათასეულისა და გუნდის უფროსთა მოვალეობა არის დადა ყუ-
რადლებით მოეპყრან ამ საკითხს და ყოველი ლონისქიერა იჩმარონ ზედ-
მეტი ტვირთი ააცილონ ჯარისკაცს.

უფროსებმა თვალყური უნდა ადევნონ ჯ.კ-ის, ინდივიდუალურ
ტვირთსა და მოკაზმულობას და სასტიკად აკრძალონ ყოველი, რაც აუ-
ცილებელი არ არის. გარდა ამისა, როდესაც კი პირობები ნებას იქმნე-
ვა, ყოველთვის უნდა ისარგებლონ სამხედრო საბარგოებით და ამრიგად
შეამსუბუქონ ჯარისკაცის ტვირთი.

5. თოხაძე

ძველი ჯარი

(დასასრული)

მგზავრობის მთავარი მიზანია მტერთან დაახლოვება და ბრძო-
ლის ველზე გამოსვლა. ამ მიზნისათვის ჯარი იყენებს ყოველგვარ ტე-
ნიკურ საშუალებებს, როგორც რკინისგზებს, აგრეთვე საზღვაო და საკუ-
ტომობილო ტრანსპორტებს; შორს არ არის ის დრო, როდესაც ჯარი
სამგზავროდ საპატიო საშვალებასაც მოიხმარს; მაგრამ მიუჩედავათ ტე-
ქნიკის განვითარებისა, დღეს მოგზაურობის მთავარ სახედ ფეხით ან ცხე-
ნოსანი მგზავრობა უნდა ჩაითვალოს.

ჯერ ისევ რამოდენიმე საუკუნის წინად გამეფებული იყო აზრია, რომ ბრძოლას სარდლის თავი და ჯარისკაცის ფეხები იგებს ჯ; ეს ჭეშ-მარიტება დღესაც ისევ ძალაშია. დღეს აზრილერა და ფრენოსნობა ისე მძინავებს რკინისგზებზე და გზატკეცილებზე, რომ ამ უკანასკნელ-თა გამოყენება ფრონტის ახლო თითქმის შეუძლებელი ხდება.

ეს სახითათო სივრცე დღითი - დღე იზოდება და ფართოვადება; რასაც კი მტრის თვალი სწვდება, მას მისი იარაღი ანადგურებს. უფრო მყაცრი იქნება მისი მძინავება მომავალში! დღითი-დღე იზრდება სა-ჭიროება მოქმედების მოულონდებობისა! ყველაფერი ეს აიძულებს მე-ბრძოლთ ბრძოლის ველის ახლომდებარე სივრცეზე რკინისგზებისა და გზატკეცილების დატოვებას და უკანასხებს ფარულად, დამით, ფეხით მგზავრობის აულრესად გამოყენებას.

უკვე საერთაშორისო ომმა ცხადჰყო ამ პირობათა დაცვის აუცი-ლებლობა! მიუხედავათ რკინისგზათა ქსელის სიხშირისა და ტექნიკურ საშუალებათა თითქმის განუსაზღვრელ სიმრავლის, მოკავშირეთა ლაშქ-რის ერთეულები 1918 წლის ბრძოლებში მთელ ასეულ კილომეტრს გა-დიოდენ ფეხით. 1918 წლის გაზაფხულზე შეტევის დამზადებისას, რათა მომავალ მოქმედებათა საიდუმლოება უკეთესად დაცუათ, უკანასკნელ ას კილომეტრიან სიურცეს გერმანელები ფეხით დამის მგზავრობით გა-დიოდენ.

საქართველოში ყველა ამას კიდევ ერთი არგუმენტი ემატება: — რკინისგზების სიმცირე, საერთო უგზოობა და სატრანსპორტო საშუალე-ბათა უქონლობა; ამის გამო ჩენმი ძალიან დიდი ყურადღება უნდა მი-ექცეს ჯარის სამგზარო ვარგისაბის გამომუშავებას.

სანამ მგზავრობა სწარმოებს შორს მტრისაგან, როცა მასთან შე-ხვედრა შეუძლებელია, მთელი ყურადღება უფროსისა უნდა მიექცეს ჯა-რისკაცთავის მგზავრობის ყოველგვარ გაადვილებას და ხელსაყრელ პირობათა შექმნას. თუ მოვკეპოვება რამდენიმე გზა, ყელო იარაღის ნაწილს საკუთარი გზა ენიშნება, ცხენოსანს სხვა, არტილერიას სხვა და შვეიცარის სხვა. უკანასკნელს, რასაკვირველია, უმოკლესი. ამით ნა-წილები ერთი მეორეში არ ირევიან და ირჩენენ საკუთარ სიჩქარეს, ამას კი დაღლილაბაზე ძალიან დიდი გავლენა აქვს. იმაზედ მეტად არაფერი არ ჰქანცავს ჩქარ მიმავალ იარაღს, როგორც ცხენოსანს ან სხვა, რო-გორც საერთო სვეტში მგზავრობის დროს, ყველაზე ნელ მავალ იარაღ-თან (ქვეითი ჯართან) დაქვემდებარება. ამიტომ ყოველთვის; როცა კი ბრძოლის პირობანი ამას არ გვიკარნახებენ, უნდა ვერიდოთ იარაღთა ასეთ არევას მგზავრობაში.

საბარგო ნაწილები ყველა ერთეულს მისდევს თან, რათა აღგზულ
ზე მოსვლისას ყველაფერი ხელთ ჰქონდეთ.

მგზავრობის დაწყებისას მხოლოდ პატარა ნაწილები იკრიბებიან; დიდი ერთეულები, რომ ბევრი დრო არ დაპკარგონ, სამგზავრო წყობას სიარულში იდებენ. თუ მთელი ერთეული იდგა სამგზავრო გზის გასწრივ, საკმარისია აღინიშნოს ერთეულის დაძვრის საათი, ყოველი შემადგენელი ნაწილი ეწყობა გზაზე. თუ ნაწილები დაბინავების დროს გაფანტულ იქნენ სხვა და სხვა მიმართულებით, სვეტი ეწყობა რომელიმე პუნქტი-დან, რომელსაც გავლის პუნქტი ეწყოდება. უფროსი აღნიშნავს, რა რიგით უნდა მოვიდენ ამ პუნქტზე სხვა და სხვა ნაწილები და რომელ საათზე უნდა იყონებოდეს იქ პირველი მათგანის თავი. ამის შემდეგ, ნაწილების უფროსები თვითონ ნიშნავენ თავისი ერთეულის აყრის საათს იმის მიხედვით, თუ რომელ საათზე უნდა მივიდეს გავლის პუნქტზე.


მაგალითად: — [იხილეთ ნახაზი მე-17 გვერდზე].

პოლკი დაბინავებულია «ა», «ბ» და «გ»-ში. უნდა დაიძრას იგი დილის ექვს საათზე. პოლკის უფროსი ნიშნავს გავლის პუნქტს (გზაჯვა-რედინი «ზ»), გავლის საათს (დილის ექვსი საათი) და რაზმთა რიგს. (მე-სამე რაზმი, მეორე რაზმი და პირველი რაზმი). სხვა დანარჩენი უკვე რაზმის უფროსთა მოვალეობას შეადგენს. მესამე რაზმს გავლის პუნქტამდე აქვს ერთი და ნახევარი კილომეტრი ე. ი. 22 წუთის სავალი, გავლის პუნქტზე უნდა იყოს ექვს საათზე, მაშასადამე, ბინიდან უნდა აიყაროს და დაიძრას 5. 38.

მეორე რაზმს აქვს გასაკლელი ორი კილომეტრი ე. ი. 30 წუთის გზა. გავლის პუნქტზე უნდა მოვდეს 6. 12., ვინაიდან ეს თორმეტი წუთი სჭირდება მესამე რაზმის აღნიშნულ პუნქტზე გასაკლელად, მაშასადამე, უნდა დაიძრას 5. 42.

პირველ რაზმს გავლას პუნქტამდე აქვს სამი კილომეტრი ე. ი. 45 წუთი, აღნიშნულ პუნქტზე უნდა იყოს 6. 24. მაშასადამე, ბინიდან უნდა დაიძრას 5. 39.

მგზავრობის დროს, ჯარისკაცის ყოველგვარი შესაძლებელი შე-დავათი უნდა მიეცეს სიარულის გასაადვილებლად, როგორიცაა: —საყე-ლოს გახსნა, თუთუნის მოწევა, გზის გეერდზე ბილიკით სიარული, თო-ფის სურვილისამებრ დაკავება და სხვა. უფროსს უნდა ახსოვდეს, რომ ჯარ-გაცი არას შემთხვევაში არ იყოს ჩაყენებული ისეთ მდგომარეობა. ში, რომ იძულებული იქნეს სიარული თავისი ნებით გაიადვილოს; უფ-კროსმა უნდა იცოდეს რა სახით უნდა მიეცეს მას შედავათი. ერთეული არგად გამოიყურება მაშინ, როდესაც იგი არ არის დაღლილი. ამიტომ



სრულიად უადგილოა მგზავრობის დროს მოთხოვნა: სწორების დაცვის თოვების დაკავების და სხვა ამგვარი წვრილმანები, რომელიც სრულიად უმიზნოა, ადამიანს აბეზრებს, ჰქანაცვს და ჯ.კ.-ს აიძულებს ამგვარ განკარგულებათა თავისი ნებით გადალახვას.

თუ საბრძოლო მდგომარეობა არ გვიკარნახებს სხვა რაიმე შესრიგს, მგზავრობის ყველაზე ხელსაყრელი და ადვილი სახე შემდეგია: — ყველ საათში ათი წუთი შესვენება და საათში ოთხი კილომეტრის გავლა, ხოლო დღეში დაახლოვებით 25—30 კილომეტრისა. პირველი შესვენება საჭიროა უკავე ნახევარი საათის შემდეგ და ათ წუთზე მეტი (20—25 წუთი), რომ ჯ.კ.-მა მოახერხოს ყველა შენიშნულ ნაკლთა გასწორება. გზის უმეტესი ნაწილის გავლის შემდეგ საჭიროა დიდი შესვენება დაახლოვებით სამ საათამდე, როდესაც ერთეულებს მიეცემათ სადალი. თუ სადმე ახლო მოაპიკება უკეთესი ადგილა შესვენებასათ კის, მაგალითად: წყალი, ჭალა, მყურაზა ადგილა, უკეთესაა საარულის ცატიოდენი გაგრძელება ან შემოკლება, რომ ეს შესვენება უკეთეს პირობებში მოეწ-

ყოს. მგზავრობისას უნდა მოვერიდოთ სიარულს დიდი სიცხის დროს ჩვენში დაახლოებით 12 საათიდან 15.30 საათამდე; სჯობს მგზავრობის დილით ადრე დაწყება და შემდეგ, საღამოს სიგრძეში გავრჩელება; სიცხის დროს კი დიდი შისენება იქნება მოწყობილი. თუ დღის მთელი სავალი 25 კილომეტრზე ნაკლებია, ხშირად უგეთესი იქნება დიდი შესვენება არ მოეწყოს, რომ ადრე მისკლისა და დაბრიავების შემდეგ, ჯ-კ მთელი დღის დანარჩენი ნაწილი თავისუფალი ჰქონდეს. თუ მგზავრობა რამოდენიმე დღე გრძელდება, აუცილებელი არის დრო - გამოშვებით მთელი დღის დასვენებას მიცემა, რაც კი შეიძლება კარგ და შესაფერ პირობებში.

რაც შეეხება ჩვენში მგზავრობის განსაკუთრებულ პირობათ, აღსანიშნავია, რომ ცუდია მთებზე და მაღლობებზე ღამის გატარება ტემპერატურის დიდი ცვალებადობის გამო. დიდი შესვენების დანიშნაზე, დროსა და გზის სიგრძის გარდა, ადგილ-მდებარეობასაც ენება ძლიერ დიდი მნიშვნელობა; მაგალითად: — თუ მთა ან უღელტეხილია გადასასვლელი, გაჩერება მის წინ არ იქნება კარგი, მუდამ სჯობს გზის უძნელესი ნაწილის გავლა.

თუ გვსურს მგზავრობის აჩქარება, მაშინ სიარულის დროთა გაზომვა ცოტა იცვლება. აღსანიშნავია, რომ სიჩქარე ნაბიჯის აჩქარებით არ მოიპოვება, არამედ შესვენებათა შემოკლებით და სიარულის დროის გაგრძელებით. მაგალითად: — ერთი სახე აჩქარებითი გადასვლისა არის შემდეგი: —

მგზავრობის დაწყება 5 საათზე.

5 საათიდან	11 სიარული	—	6 საათი	გაივლება	24 კილომეტრი.
11 „	15 შესვენება	—	4 „	—	„
15 „	19 სიარული	—	4 „	—	16 „
19 „	20 შესვენება	—	1 „	—	„
20 „	22 სიარული	—	2 „	—	8 „
22 „	4 დასვენება	—	6 „	—	„
4 „	9 სიარული	—	5 „	—	20 „
9 „	10 დასვენება	—	1 „	—	„
10 „	13 სიარული	—	3 „	—	12 „

სულ ————— 32 საათი ————— 80 კილომეტრი

ასე გამოიყურება მგზავრობის შეწყობა იქ, სადაც საბრძოლო ვითარება გვაძლევს ჯერ კიდევ საშუალებას მგზავრობის გაადვილება— შემსუბუქებაზე ფიქრისას. ყოველ ჯ-კ-მა უნდა იცოდეს, რომ მგზავრობა ივივე ბრძოლაა, ხოლო ბრძოლაში მიზნის მიღწევა აუცილებელია, რათაც არ უნდა გვილირდეს ეს.

ბრძოლის დროს ხშირად იქნება ისეთი მდგომარეობა, რომ სულ უმცირეს ნაწილს შეეძლება მთელი ბრძოლის ბედის გადაშევეტა და ეს ნაწილი ამ გადამწყვეტ აღგილზე უნდა იქნეს, რა ზარალიც კი არ უნდა მიიღოს მან, სულერთია, იქნება ეს ტყვიამფრქვევიდან, სიცხისგან თუ დალილობისგან, ოღონდ ის მოვიდეს ბრძოლის ველის იმ აღგილს და ისეთ დროს, რომ ჯერ კიდევ შესძლოს ბრძოლის მსვლელობის ჩვენ ს-სარგებლოდ გამობრუნება.

ამ მიზნის მისაღწევად არავითარ ზარალს არ მიეცევა უურადლება. ზიანის შიშმა არასოდეს არ უნდა აგვალებინოს ხელი მიზნის მიღწევისაგან.

მტრის უკანასკნელ კონველსით გარღვეული ფრონტის გასაბლანდავად საკმარისია პატარა ნაწილის დროზე გამოჩენა; რა მდგომარეობაშიც კი არ უნდა იყოს იგი, ეს უკვე მოგვცემს კრიზისის გადატანის საშუალებას სხვა ნაწილების მოსვლამდე. [მაგალითად: — გერმანელთა შეტევის შეჩერება 1918 წელს ამიენის მიმართულებით, როცა ურონტი ფაქტიურად უკვე გარღვეული იყო]. ამ შემთხვევაში არავითარ წესდებას და საათების დაყოფას მნიშვნელობა არა აქვს.

რასაკვირველია, არ შეიძლება მშვიდობიან დროში ისეთი ცდის გაკეთება, რომელიც მიზანშეუწონოად გაფლანგავს რამოდენიმე ათეულ სიცოცხლეს; მუდამ უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენავრობის საუკეთესო პირობათა შექმნას, მაგრამ საჭიროა ყველამ იცოდეს, რისი მიღწეული შეიძლება ამ მხრივ. ურყევი რიცხვები მას ასე ასწერენ: —

1920 წ. ვარშავის ბრძოლაში პოლონეთის ერთ-ერთ დივიზიამ ცხრა დღეში საბასი კილომეტრი გაიარა ბრძოლით, ესე იგი საშუალოდ დღეში 33 კილ-ზე მეტი ბრძოლით, და უკანასკნელ 24 საათში განვლო 60 კილომეტრი.

1918 წ. ფლანდრიაში გერმანელების შეტევის დროს, ინგლისელების დასახმარებლად გაგზავნილ ფრანგების მეორე ცხენოსან კორპუსმა პირველ 24 საათში 105 კილ-რი გაიარა და ამის მეორე და მესამე დღეს ჩვეულებრივ მგზავრობას განაგრძობდა. დანიშვნულების აღგილამდე გაიარა 180 კილომეტრი სამ დღეში. [მხედველობაში არ ვიღებ ნაპოლეონის ხანას, როდესაც ქვეითი ან ცხენოსანი მგზავრობა მგზავრობის ერთად ერთი სახი იყო].

როცა მგზავრობა მტრის ახლო სწარმოებს და მასთან შეხვედრა მოსალოდნელია, უპირატესობა უკვე ტაქტიკურ მოთხოვნილებას ეძლევა; ჯარი უკვე თავის უზრუნველყოფაზე ფიქრობს, რომ არავითარ ჩვენთის მოულოდნელ მოქმედებას არა ჭირდეს ადგილი. ამისათვის სვეტი ჰგზაუნის წინ წინმცველ ნაწილს. ამ ნაწილის ძალა განიხომება მთელი



სეკტის საერთო რიცხვით. არავითარი გადამწყვეტი რიცხვი არ აღნისა, ბობს; დაახლოვებით იყი უდრის მთელი ძალის ერთ მესამედს. რა მანძილზე და რა წყობით მიდის წინ ეს ნაწილი? — თვით წინამცველი იყო და შემადგენელ ნაწილებზე. სულ წინ პგზავნის ნავარდს, რომლის დანიშნულებასაც ყოველი უახლოესი ბილიკისა და მდებარეობის დაფარულობის გაშინჯას წარმოადგენს. მაგ., თუ წინამცველი შესდგება რაზმიდან მაშინ ნავარდათ გაიგზავნება დაახლოვებით ერთი მწყობრი, რომლის შემადგენლობიდან დაახლოვებით ორი მესამედი გაშლილი და გაფანტული მიდის წინ, რომ გადაათვალიეროს ყველა წინ დახვედრილი გზები, ბილიკები, ხევები და სხვა. ნავარდის დანარჩენ ნაწილს შეუძლია კრებულ რიგში გაჰყვეს მათ ხედვითი კავშირის მანძილზე, მსვლელობის დერძზე ისე, რომ ყოველ წუთში შეეძლოს ჯარის მიშველება. ამ კრებულ ნაწილთანვე იქნება ნავარდის უფროსი.

ნავარდს მოსდევს წინა მცველის მოწინავე ნაწილი, რომელიც მთელი წინამცველის ერთ მესამედს წარმოადგენს დაახლოვებით. მოწინავე ნაწილი ისეთ მანძილზე უნდა იყოს დაშორებული ნავარდიდან, რომ მტერმა ვერ მოახერხოს მისი ნავარდთან ერთად ცეცხლით შეკვრა. გორაკიან აღგილზე საქმაო იქნება უახლოეს სერს იყოს ამოფარებული, ხოლო ვაჭე აღგილზე, ზემოდმოტანილი პირობა მანძილის გადიდებით უნდა მოვიპოვოთ. ეს მანძილი უნდა გვაძლევდეს წინა ნაწილის გაშლის საშუალებას. რა ძალისა უნდა იყოს ეს მოწინავე ნაწილი, ამის გადაჭრით თქმა თითქმის შეუძლებელია. თუ წინამცველად მთელი რაზმია, მოწინავე ნაწილად შეიძლება იმ ასეულის მთელი დანარჩენი შემადგენლობა იყოს, რომლის შემადგენლობიდანაც ნავარდია.

საჭირო არის აგრეთვე ტყვიამფრქვევთა სულ მცირე ნაწილის მიცემა (ერთი ჯგუფი), რომ მტერის მცირე ნაწილმაც არ გვაიძულოს შეკჩერდეთ და უცადოთ სხვა ძალების მოსვლას. უნდა გვახსოვდეს: რომ თუ მტერს რაიმე ჯავშნიანი იარაღი მოეპოვება, იგი უპირველესად ყოვლისა ამ მოწინავე ნაწილს შესვლება, ამიტომ საჭიროა, თუ გვაქვს ამისი საწინააღმდეგო იარაღი, იგი მოწინავე ნაწილში იყოს მოთავსებული. რაზმის ფარგლებში იქნება ეს ქვეითი ჯარის ზარბაზანი 37 მილიმეტრიანი. როგორც უხედავთ, მოწინავე ნაწილი იქნება დაახლოვებით მთელი წინამცველის ერთი მესამედი, ხოლო მისი დაშორების მანძილი ნავარდიდან ვაჭე აღგილზე, დაახლოვებით 400 მეტრიდან 700 მეტრამდე. შეძეგ მოდის წინამცველის მთავარი ძალა მთელი შემადგენლობით, დაალოვებით 700—1000 მეტრის მანძილზე თავის მოწინავე ნაწილიდან.

წინამცველის მოვალეობაა, რომ შეუძლებელქვის მტრის მოულოდნელი თავდასხმა, რომ არ მიეცეს მტერს საშუალება ჩვენ გაუშლელ

მთავარ ძალებს ცეცხლით შეეხოს. იგი ისეთ მანძილზე უნდა იყოს და- შორებული მთავარ ძალებიდან, რომ მუდამ მოახერხოს უახლოეს ხელ- საყრელი პოზიციების დაკავება; უნდა უზრუნველყოს სივრცე, საჭირო მთავარი ძალების გასაშლელად. იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ ად- ვილად მოახერხოს ამ პოზიციების და სივრცის იმდენ ხანს შეტენა, რომ უფროსმა შესძლოს რაიმე გადაშეცვეტილების მიღება, და ამ გადაშეცვეტი- ლების განსახორციელებლად საბრძოლოდ გამოსვლა. ყველა ზემომოტა- ნილი მოსაზრებანი ცხადათ გვაჩვენებენ, რომ არ შეიძლება არავითარი გადაჭრილი რიცხვის ან მანძილის დასახელება და მათი სავალდებულოდ ცნობა. ყველაფერი შედარებითი რიცხვს წარმოადგენს იმის-და-მისედ- ვით, თუ რა ნაწილის, რა ძალის წინამცველია და რა მდებარეობაში სწარმოებს მგზავრობა.

წარმოვიდგინოთ: ორი ნაწილი, უზრუნველყოფილ სამგზავრო წყობით, ერთი მეორის წინააღმდეგ მოძრაობაშია. შეხვედრა მოსალოდ- ნელია ყოველ წუთში და მთელი ბედი ბრძოლის იმაზე იწება დამკაი- დებული, თუ რომელი მხარე უფრო მაღა გაიშლება, რომელი უფრო მაღა მიიღებს საბრძოლო წყობას, რომლის უფროსი უფრო მაღა და სხარტად შეაფასებს მდგომარეობასა და მდებარეობას, და რომელი მათ- განი იძოქედებს მეტი ენერგიით. რიცხვს ამ შემთხვევაში არა აქვს გა- დამჭრელი მნიშვნელობა. ამისათვის ყველა ზომა უნდა იწეს წინდაწინ- ვე მიღებული კავშირისა და ბრძანებათა გასაადგილებლად.

დიდი ყურადღება უნდა მიეცეს კავშირის მოწყობას. ძლიერ ხელსაყრელია მგზავრობის დროს ქვეითი შივრიკთა ჯაჭვის მოწყობა სკეტის გასწრივ. საუცხოოდ მუშაობენ ამ შემთხვევაში აგრეთვე ცხენო- სანი შივრიკი და შივრიკი ველოსიპედზე. ცნობათა მაღა მისაღებად და ბრძანებათა ასაჩქარებლად, ყველა უფროსის ადგილი ერთი საფეხუ- რით წინ არის წაწეული, სახელმობრ: — მგზავრობის დროს მთელი სკე- ტის უფროსი წინამცელის მთავარი ნაწილის თავში იმყოფება, — წინა- მცელის უფროსი იმყოფება წინამცელის მოწინავე ნაწილის სათავეში, ხოლო მოწინავე ნაწილის უფროსი ნავარდის კრებულ ერთეულთან. ყვე- ლა ამ უფროსებს აქვთ ნება წინიდან მამავალი ყველა ცნობის წაკითხვი- სა, მიუხედავად მისამართისა, მხოლოდ არ შეიძლება ამ ცნობის დაგვი- ანება ან გაჩერება.

თუ მოგვეპოება რამოდენიმე გზა ჩვენი მგზავრობის მიმართუ- ლებისა, საჭიროა ყველა ამ გზების გამოყენება. ეს საუცხოოდ ააჩქარებს და გააადგილებს საბრძოლო გაშლას და თვით მგზავრობასაც. რასაკვირ- ველია, არ შეიძლება ეს გზები ისე იქვენ ერთი მეორესაგან დაშორებუ- ლინი, რომ ნაწილთა შუა საბრძოლო კავშირს შეუძლებელ ჰყოფდენ. ყვე-

ლაზე უკეთესი და კარგად უზრუნველეოფალი გზით საბარგო ქარაჭანი წავა თავისი მცველი ნაშილით; არტილერია ყოველ სვეტში საჭიროების სათანადო რიცხვით იქნება მივლინებული.

გარდა კედაროს უზრუნველყოფისა, საჭიროა აგრეთვე გვერდების უზრუნველყოფა და დაცვა, თუ ჩვენ მარცხნივ ან მარჯვნივ საკუთარი ნაშილი არ მოიპოვება და მტრის რაიმე მოქმდება მ ასალოდნელია. გვერდის დაცვა მგზავრობის დროს შეიძლება უძრავი ან მოძრავი გვერდ მცველის საშუალებით; უძრავი გვერდმცველი საკმარის მაშინ, როდესაც მტერს ჩვენი გვერდისაგენ მოეპოვება მხოლოდ რამდენიმე გზა ესე იგი სადმე ჩვენი მიმართულების ღერძის ახლო მოიპოვება რაიმე ულელტეხილი, ხიდი ან ფონი, საიდანაც შეუძლია მტერს გამოვიდეს და თავსდა-გვესხას. ამ ადგილებს იყავებს ჩვენი გვერდმცველი ნაწილი და უკავია იმდენ ხანს, სანამ მთელი სვეტი არ გაივლის. ერთეულის გავლის შემდეგ უერთოება უკანმცელს. რასაკვირველია, ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ამ გზების გარდა მტერს არსაიდან არ შეუძლია თავდა-სხმა. რა ძალისა უნდა იყენებ ეს ნაწილები? ამის თეორიული კარნახი სრულიად შეუძლებელია. მათი დანიშნულება მოითხოვს, რომ მათ შე-ეძლოთ ამ დაკავებული ადგილების შერჩენა იმდენ ხანს, რომ მთელ ძალამ, რომელსაც უზრუნველყოფთ ხელშეუშლელად გაიაროს სახიფათო ადგილი, ხოლო დანარჩენი კი დამოკიდებულია ადგილ-მდებარეობაზე, ზოგ ადგილს შეიძლება ერთი მშეობრი ტკიამფრქვევით, მიუდგომეო ძალას წარმოადგენდეს; ხოლო ზოგან შეიძლება რაზმიც კი არა კმარო-დეს; გარდა ამისა, თუ უზრუნველყოფთ რაზმს, ის 12 წუთში გაივლის, ხოლო თუ სავარ რომელიმე დიდ ერთეულს, მას გასავლელად რამდენიმე საათი დასჭირდება. ამის სათანადო შეფასება კონკრეტულ მდგომარეო-ბაში, უკანასის პრიულ ლიტერატურაში, უკანასკნელას შე-იძლება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენათ მიაღწია მიზანს, როგორ დადლად ულირდა ეს ნაწილს და რამდენი დრო მოანდომა მას.

მოძრავი გვერდმცველი მიდის მთავარი ძალების პარალელურად ისეთ მანძილზე, რომ მტერმა ვერ მოახერხოს მთავარი სვეტის ცეცხლით შეხება. მთიან ადგილებში, ამ მანძილს გვიკარნახებს ადგილ-მდებარეო-ბის მოყვანილობა იმის-და-მიხედვით, თუ საიდან შეუძლია მტერს ჩვენი გზის თვალდევნა და რა სადგომიდან ძალუბს ჩვენ გზაზე ცეცხლის წარ-მოება. ტრიალ ვაკეზე კი ეს მანძილი მტრის იარაღის შორსწვდენის მა-ნძილი იქნება. უნდა გვახსოვდეს, რომ გრძელი გზით სიარულის დროს, გვერდმცველს მთავარ ძალებზე მეტი სიარული უხდება და სიარული უმეტესად უფრო ცუდ პირობებში; ამის გამო საჭიროა ხოლმე დროგა-მოშვებით გვერდმცველის გამოცვლა. თუ სიარულის დროს გვერდმცვე-

ლი გზის ოდრიკალის შუაში მოჰყვა, მაშინ უნდა გაჩერდეს, რომ მთა-
ვარ ძალებს არ გაუსწროს.

მგზავრობის დროს აუცილებელია მტრის ფრენოსნობის მოსაგე-
რებელი ზომების მიღება, როგორც აქტიურ მოგერიებისა, ისე პასიური.
აქტიურ მოგერიებას ვაწარმოებთ საკუთარი ფრენოსნობისა და წინდაწი-
ნვე გამხადებულ, სპეციალურ საზენიტო არტილერიის და ტყვიამფრქ ე-
ვთა საშუალებით. პასიურ მოგერიებას ვაწარმოებთ მგზავრობის ყოველ
გვარ დაფარვით და წყობის გაშლა-გახალვათებით. ამიტომ ომის დროს
უნდა ვეცადოთ, რომ ყოველგვარი მგზავრობა ვაწარმოოთ დამით ან-და
ტყიანი გზით.

ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რომ როგორც თვით მგზავრობა,
აგრეთვე მგზავრობის მიზანი საიდუმლოებით იყოს მოცული. მგზავრო-
ბის სრული საიდუმლოებით დაცვა პარტიზანული ომის დროს წარმოა-
დგენს პირველ პირობას მოქმედების ჩვენ სასარგებლოდ დამთავრებისა-
თვის.

ჩვენში საჭირო იქნება გზების დასაფარავად ყოველი გზატკეცი-
ლის გასწრივ დიდობის ხეების დარღვა; მაგალითად: კაკლების, ჭადრე-
ბის და სხვა, ასე რომ გზაზე ხეივანი შეიკრას, გვერდების კი კვიპარო-
სით დაფარვა.

დ გ ო მ ა

დგომის მოწყობაზე აქვთ გავლენა და გვიგარნახებენ მის სახეს
იგივე პირობანი, რაც მგზავრობის დროს. თუ ბრძოლის ველიდან შორს
ვიმყოფებით და მტერთან შეხვედრა არ არის მოსალოდნელი, მაშინ უმ-
თავრესი საგანი ჯარისკაცთა უკეთესი მოწყობა და მათთვის სრული მო-
სვენების პირობების შექმნაა. ამ მოთხოვნილებებს მართლოდ დაპინავება
აკმაყოფილებს. რომ ბინა ხალვათი იყოს და უკეთეს პირობებს, იძლეო-
დეს, უნიშნავთ ნაწილებს, შეძლებისდაგვარად, ფართო სიგრცეს.

ყველა იარაღი დგება ცალ-ცალკე განსაკუთრებულ რაიონებში,
რომელიც უკეთესად შეეფერებიან მათ პირობებს. მაგალითად: — ცე-
ნოსანი ნაწილებისათვის აუცილებელია წყლის სიახლოვე, მაშინ როდე-
საც არტილერიას წყლის გარდა აუცილებლად სჭირდება გზები, რომ
ყოველ წუთს ადვილად შეეძლოს დგომის რაიონიდან გამოსკლა.

ყველაზე ხელსაყრელი სახე დაბინავებისა, ნაწილისათვის არის
სამგზავრო მართულების გასწრივ, ნაწილის სიგრძეზე დაყენება. მაშინ
ერთეულებს არც დაბინავების წინ და არც გამგზავრების წინ არავითა-
რი სიარული და გადასვლა - გადმოსვლა აღარ სჭირდება.

მიუხედავათ ჩამოთვლილ ღირსებათა მას ბევრი უარყოფითი მხარეები მოკოვება; უარყოფითი მხოლოდ ტაქტიკური თვალსაზრისით, სახელდობრ: —

1. მრიოხოვს დიდ სივრცეს;

2. შლის ტაქტიკურ ერთეულებს და მის შემადგენელ ნაწილებს ათავსებს სხვა და სხვა რაიონში მოსახლეობის-და-მიხედვით;

3. აძნელებს დაბინავების სივრცის უზრუნველყოფას სოფლის მოხაზულობის-და-მიხედვით.

ყველასათვის ცხადია, რომ დაბინავებული ნაწილი ჩვენებური მოუწყობელი სოფლის განსახიერება იქნება და ეს გარემოება ძლიერ გააძნელებს ნაწილის უზრუნველსაყოფად ყოველ მოსასვლელ გზების დაგეტვას.

მეორე სახე დგომისა არის ბანაკი. ამ შემთხვევაში ნაწილი დგება ველზე ცის ქვეშ უბრალო კარვებში.

ბანაკის დადებით მხარეებს მხოლოდ მისი ტაქტიკური უპირატესობა წარმოადგენს; სახელდობრ: —

1. მთელი ერთეული იმყოფება ერთად უფროსის ხელში;

2. ძლიერ გაადვილებულია თვალყურის დენა და უზრუნველყოფა.

მაგრამ ბანაკში ჯარ-კაცი იმყოფება ამინდის უშუალო გავლენაში და ეს ძლიერ ცუდათ მომედებს მის ფიზიკურ მდგომარეობაზე; ამიტომ, თუ ტაქტიკური მდგომარეობა არ გვიკარნახებს ამას, ბანაკს არ უნდა მიკმართოთ.

მესამე სახე დგომისა არის ბინა ბანაკი — საშუალო სახე ამ ორგან დგომისა. ამ შემთხვევაში, დასახლებულ რაიონში ვაყენებთ ერთეულს, რომელიც თავისი შემადგენლობით აღემატება მოსახლეობის სათანადო რიცხვს. მაშინ ნაწილი ამ ერთეულისა ბინავდება, ხოლო ნაწილი იქვე იბანავებს, — ამ მეორე ნაწილს, თუმცა უაბანაკებულია, მაიც შეუძლია დაბინავების ზოგიერთი დადებითი მხარეების გამოყენება.

როგორც უცვე აღნიშნული იყო, დაბინავების სახეს სწყვეტს იგივე გარემოება, რაც მგზავრობისას: — «შორს მტრისაგან», «მტრის ახლოს» და «მტრის უშუალო სიახლოეში». როდესაც ვიმყოფებით მტრისაგან შორს და მასთან შეხვედრა შეუძლებელია, მაშინ აუცილებლად მივმართავთ დაბინავების ყველაზე ხელსაყრელ სახეს ჯარისკაცთა მოსვენების თვალსაზრისით.

მტროთან ახლო დგომის დროს, ესე იგი, როცა მოსალოდნელია უახლოეს მგზავრობაში მასთან შეხლა, ყოველივე უპირატესობანი უკვე

ტაქტიკურ მოსაზრებებს ენიჭებათ. აქ უკვე აღარ შეგვიძლია ერთეულის ერთ გრძელ სიმათ გაჭიმვა, — ეს საშინლად გააგრძელებდა საბრძოლო გაშლას; უკვე აღარ შეიძლება სხვა და სხვა იარაღის სრულიად განცალკევებული დაყენება; უკვე აუცილებელია ამ იარაღთა ისეთი მოთავსება და ისეთი შეფარდებით, როგორც განზახულაა მათი მოამარება. არტალერიის ნაწილები დკეპიან იმ ქვეითა ჯარის ერთეულებთან ერთად, რომელთანაც იქნებან მივლინებული საბრძოლველად. ქვეითა ჯარი მოჰალეა სრულად უზრუნველყოს არტილერიის ეს ნაწილები, ვინაიდან არ შეიძლება არტილერიის გაფლანგვა საკუთარი უზრუნველყოფის-თვის. რამდენათაც მტერთან ახლო ვიქნებით, მით უფრო მეტ სიგანეში ვაჟყობთ დაბინავებას. ტაქტიკური მოთხოვნილებანი ამ დროს ძლიერ ხშირად გვაიძულებენ ბინა-ბანაკის მოწყობას ან-და სულ უბრალო დაბანავებას.

დგომა მტრის უშუალო სიახლოვეში უკვე თავისთავად საბრძოლო განმზადებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ნაწილი სიარულის დროსაც უკვე საბრძოლო წყობაშია გაშლილი და შეჩერებისას იმავე წყობაშივე დგება. ბინა ამ მდგომარეობაში მოულოდნელი შემთხვევით მოვლენაა და ის ნაწილებიც, რომელნიც შემთხვევით ბინაზე მოჰყვებიან, ბინავებიან საგანგებო წესით, ე. ი. ბინავებიან მხოლოდ დაბალ სართულებში — (არ შეიძლება მაღალი სართულების დაკავება), და სძინავთ ტანგაუხდელად იარაღით ხელში.

თანდათან დიდ მნიშვნელობას ლებულობს ბინის ან ბანაკის გარეგანი გამომეტყველება, რომ არ იქნენ გამოაშკარავებული მტრის ფრენოსნობის მიერ. ამისათვის უნდა მოვერიდოთ ლია ადგილზე დაბანავებას და ბანაკის ყოველგვარ რეგულიარული სახის შექმნას; ყველაფერი უნდა იყოს დამაღული და ნიღაბ-მოსილი.

ყოვლად შეუძლებელია მშვიდობიანი წესით ურმების ან ზარბაზნების სწორე მწერივებით დაყენება. ეს საუცხოო გაადვილება იქნება მტრის ფრენოსნობისათვის.

ყველა ეს საგნები არარეგულიარულად უნდა იქნენ გაფანტული და ამოფარებული სხვა და სხვა საგნებს და ისე იქნენ ნიღაბმოსილი, რომ არავითარ დისონანს არ უნდა წარმოადგენდენ გარემო გამომეტყველებაში.

ნავთის ისტორია თან მოსდევს და მასთან

მსოფლიო ომში

3

ნავთის ძველად

ნავთის ისტორია კაცობრიობის ისტორიას თან მოსდევს და მასთან მშიდროთა დაკავშირებული. ბიბლიაში ნავთი მოიხსენება უძველეს დროიდან, ეგვიპტეში ნავთი ცნობილია, როგორც სამკურნალო და საბალზამო ნივთიერება.

ჰეროდოტესი სწერს ცაკინთოს ნავთის შესახებ; პლინიუსი, დიოსკორიდეს და სხვა მრავალი მწერალი აღნიშნავს ნავთის ხმარებას.

როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ბაბილონში შებრძანდა, ქუჩების ორივე მხრივ არხები ზიმზიმებდენ ნავთის მდინარეთა ცეცხლით.

ზორავასტრის კულტი დაიბადა ნავთიან მხარეში — სპარსეთი! ცეცხლთაყვანისმცემლობა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უმტკიცესი რელიგია იყო! მესოპოტამიასა და სამხრეთ სპარსეთში, არსაკიდების და სასანიდების დინასტიის სატახტო ქალაქთა დაარსება დაკავშირებულია ნავთის-წყაროებიან ადგილებთან.

ძველად ნავთს ხმარობდენ აგრეთვე როგორც საომარ მასალას. პირველად ბერძენთა სარდალმა კალენიკუსმა 673 წ. ნავთის ცეცხლით გაანადგურა სარკინოზთა ფლოტი. [მტრის გემებზე ისროლეს სპეციალურად დამზადებული ცეცხლმოდებული ისრები და ამგვარად გადასწვეს ფლოტი].

ძველ საბერძნეთში ნავთს ერქვა სიცილიის ზეთი და ხმარობდენ გასანათებლად. საშუალო საუკუნეთა ქალაქები, როგორც მაგალითად — ჯენოა ნავთს ხმარობენ ქუჩების გასანათებლად. მხოლოდ ლამფის გამოგონების შემდეგ [მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედი!], ნავთის გასანათებლად ხმარება ჩვეულებრივი შეიქნა, თუმცა მისი ხმარება მაინც განსაზღვრული იყო, სანამ ნედლი ნავთის გადამუშავება და გაწმენდა არ დაიწყო.

ნავთის მრეწველობის დასაწყისი

1859 წელი არის სანავთო მრეწველობის დასაწყისი; ამერიკელმა ინჟინერმა ე. დრეიკმა პირველად გასთხარა ჭაბურღლილი და ასე მიიღო ნავთი დედამიწის გულიდან. ამერიკაში და ევროპაში ნავთი გაპქონდათ, ბოთლებით ჰყიდვენ ამერიკული ზეთის სახელით. უკვე **1870** წ. ნავთის ამოლებამ მიაღწია ხუთ მილიონ ბარელს!

1884 და **1897** წწ. არის გარდამტეხი ხანა სანავთო მრეწველობაში და მის განვითარებაში. გერმანელმა ინჟინერმა ბენცმა ამუშავა ავტომობილი და გერმანელმა ინჟინერმა დიზელმა ნავთის საშვალებით დაატრიალა მოტორმანქანა, რომელსაც მერმე დიზელმანქანა დაერქვა.

დიზელმანქანის მნიშვნელობა

იმას გარდა, რომ ნავთს თავისთავად აქვს უმაღლესი სითბოს ერთეული (1000) და ამ მხრივ ნახშირს ბევრად სჯობნის, — დიზელმანქანაში მას ენიჭება ორკეცი საწვავი ღირებულება.

დიზელმანქანის აქვს სხვა ძალოვან მანქანებთან შედარებით შემდეგი უპირატესობანი: — მცირე ადგილის დაკავება, სწრაფი ამუშავება, საწვავ მასალის დაუკარგველობა მუშაობის შეწყვეტის დროს, არავითარი ნაცარი, ნავთის მომარავება პატარა ადგილზე, გასაცივებელი წყლის ნაკლები ხმარება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიზელმანქანა საერთოდ გემისათვის და უფრო მეტად, კერძოდ, სამხედრო გემისათვის. ამ შემთხვევაში, გემზე დიზელმანქანის დადგმას შემდეგი წარმატებანი მოაქვს:

1. ორთქლის მანქანისა და მასთან ნახშირის ხმარების მოსპობით სავსებით მარტივდება სამსახური, ცეცხლისმთებლინი წედმეტი არიან.

2. დიზელმანქანიანი გემი ყოკელ წამს მზადაა ასამოძრავებლად, რაც სამხედრო გემისათვის მეტად მნიშვნელოვანი არ იყო.

3. დიზელმანქანიანი გემის მოქმედების რადიუსი ხუთჯერ მეტია ორთქლმანქანიან გემისაზე. ქვანახშირის ონბობის ნავთით, დიზელმანქანიანი გემი ხუთჯერ მეტ გზას გაივლის; სავაჭრო და სამხედრო გემი ხშირად არის იძულებული ნახშირისათვის ნავთსადგურში შევიდეს; ნავთის ერთხელ მიღება საკმარისია დიდი ხნის სიარულისათვის.

4. ისეთი თხელი მასალა, როგორც ნავთი, შეიძლება მოთავსებულ იქნეს გემის თავისუფალ ადგილებში, გვერდებში, ორმაგ კედლებში და სხვ. ამით ზედმეტი ხდება ნახშირის ბუნკერი, რომელსაც ყოველთვის მინნა ემუქრება.

5. სანავთო მილით გემზე ნავთის მიღება იოლია და სუფთად იკავებს გემს.

6. ვინაიდან ბუხრები საჭირო აღარ არის, სამხედრო გემის ზარბაზნებს შეუძლია მთელ პორიზონტზე იტრიალოს; ქვანაზშირის კიამლი, აქამდე რომ გამცემი და მოღალატე იყო სამხედრო გემისათვის, დიზელ-მანქანიან გემზე აღარ არსებობს.

7. დიზელმანქანიან გემს აქვს დიდი მანევრიანობის უნარი.

ნავთის ხმარება

ნავთის ხმარების ამნაირი უპირატესობა ძნელი შესამჩნევი არ უნდა ყოფილიყო. სამხედრო ფლოტის ქვეყნებმა: პირველად ინგლისმა დასდო გემზე დიზელმანქანა; ლორდ ფიშერის დაუინებითი მოთხოვნით, ინგლისის ფლოტმა დაიწყო დიზელმანქანის შემოღება (1904 წ.). უკვე 1914 წ. მთელი მსოფლიო ფლოტის 3.1 პროც. ნავთს ხმარობდა; 1923 წ კი — 26.79. აქედან გამომდინარებს ნავთზე მოთხოვნილებისა და მაშასადამე: ნავთის მრეწველობის ზრდა.

ავტომობილიზმის განვითარებამ (1884 წ.) ნავთის ხმარება უზარმაზრად გაზარდა. ჯერ კიდევ 1899 წ. ავტომობილთა რიცხვი უდრიდა 10000 და დღეს კი 30 მილიონს გადაჭარბა.

ნავთი სჭირდება აგრეთვე რკინისგზას (მანუფა). 1906 წ. შეერთებული შტატების რკინიგზა ხარჯვედა 15 მილიონ ბარელს; 1923 წ. კი 58 მილიონ ბარელ ნავთს.

ნავთი აუცილებელია აგრეთვე საპარო ფლოტისათვის (ბენზინი, ზეთი): ამას გარდა: ნავთი და მისი პროდუქტები იხმარება ინდუსტრიაზის საერთოდ, განსაკუთრებით ქიმიურ მრეწველობაში (ასაფერებელ მასალათა დამზადება) და ფარმაცევტული მიზნებისათვის.

ცხადია: ნავთის ასეთი მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ხმარები, სანავთო მრეწველობის გაზრდა-გადიდებას იწვევდა. 1890 წ. ნავთის ამოღებული ონბობა უდრიდა 76 მილიონ ბარელს: ეხლა კი მილიარდს აღემატება!

ჩვენ დავინახეთ, რომ ნავთს აქვს არა მარტო კომერციული, არამედ სამხედრო მნიშვნელობაც. ამიტომ, მართალი იყო ფრანგი სენატორი ბერანეჟ, რომელმაც სთქვა: —

«ვისაც აქვს ნავთი, მას აქვს ძლიერება. ბატონობა ზღვაზე ნავთის მეოხებით; ბატონობა ჰაერში ნავთის წყალობით; ბატონობა მიწაზე კაპიტალით, რომელიც ნავთთან არის დაკავშირებული!»

ნავთის ინდუსტრიული და მილიტარული მნიშვნელობა ისეთი

ვეებერთელა შეიქნა, რომ დადი და პატარა სახელმწიფო შესდგა სანავთო ბრძოლის : სპარეზზე ნავთზე ბატონობისათვის, ნავთის დასაპყრობათ. აქედან წარმოსდგება: — ბრძოლა ნავთისათვის!

პირველი სანავთო ბრძოლა

ნავთის ისტორიას მე ვყოვლ სამ ნაწილად: —

პირველ ხანას ეკუთხნის სანავთო წარმოებისა და მრეწველობის ის პერიოდი, როდესაც ნავთს ფლობდენ მარტო კერძო კომპანიები, სამრეწველო საზოგადოებანი. იმ დროის უმთავრესი დამახასიათებელია ბრძოლა სანავთო ფასების ასპარეზზე (ფასების ომი!), ბრძოლა შინაური ბაზარის ტასაპყრობად, საკუთარ ქვეყანაში მონაპოლიის შესაქმნელად და განს. მტკიცებლად.

მეორე ხანაში ბრძოლა სწარმოებს ნაციონალურ სანავთო კომპანიათა შორის მსოფლიო სანავთო ბაზარის ხელში ჩასაგდებად, — ესაა ბრძოლა ამერიკულ, პოლანდურ, ინგლისურ, კავკასიურ და სხვა სანავთო საზოგადოებათა შორის მსოფლიო ბაზარზე.

მესამე ხანაა უკანასკნელი, როცა ნავთისა და ნავთიანი აღირების გულისათვის თვით სახელმწიფონი იბრძვიან. ეს არის გუშინდელი და დღევანდელი ამბავი!. —

ჩვენ დავინახეთ, რომ ტექნიკაში მომხდარი რევოლუციის წყალბით, ნავთს მიენიჭა არა მარტო დიდი ინდუსტრიული მნიშვნელობა, არამედ მილიტარულიც. ამიტომ სახელმწიფონი, რომელთაც ნავთი არ გააჩნიათ ან მეტად მცირე ღინდობისა აქვთ, იწყებენ ჯიბრსა და ქიშპობას ნავთისათვის — და მსოფლიო ომის დროს უკვე ტკიით იკაფავენ გზას ნავთის წყაროებისაკენ.

ამ ეპოქის, ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, სანავთო ბრძოლისათვის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებანი არიან; — კერძო სანავთო საზოგადოებათ მხარს უჭერენ და ეხმარებიან მთავრობანი; თვით სანავთო საზოგადოებანი, მთავრობათა ზეშთაგონებით, აწარმოებენ სანავთო პოლიტიკას ნაციონალური ინტერესების მიხედვით: მთავრობათა დახმარებით ეს სანავთო საზოგადოებანი სცდილობენ ხელჩაიგდონ ნავთიანი აღილები; თვითონ სახელმწიფონი მონაწილეობენ სანავთო კომპანიებში ან კონტროლს უწევენ მათ; თვით სახელმწიფონი აწარმოებენ სანავთო პოლიტიკას, ესე იგი: — სანავთო საკითხი ხდება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საგნად. ეს არის ბრძოლა ნედლი მასალისათვის, — ბრძოლა ნავთიანი აღილებისათვის, ნავთზე საბატონოდ და სანავთო ინდუსტრიის ხელთ ჩასაგდებად.

პირველი ბრძოლა ნავთიანი ადგილებისათვის სახელმწიფო კონცესიის მორის მოხდა ოსმალეთში, ეგრეთ წოდებულ ბალდადის სარკინიგზო კონცესიის გამო. 1904 წ., ფორმალურად ოსმალურმა და არსებითად გერმანულმა სახოგადოებამ — ანატოლიან რეილ უე კომპანი — კონცესია მიიღო ოსმალეთის მთავრობისაგან ბალდადისა და მოსსულის ვილაიეტში რკინიგზის გასაყვანად. რასაკვირველია: — თავისთვის ეს რკინიგზა ეკონომიური და სტრატეგიული თვალსაზრისით მეტისმეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოვლილყო, — და გერმანისათვის სანუკვარი ლევანტ—პოლიტიკა განხორციელების წინ იდგა. მაგრამ ამ კონცესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ კონცესიონერებს ცხრა კილომეტრის ფართობზე ჭიალის ყოველგვარი სიმდიდრის დამუშავების უფლება ეძლეოდათ და ვინაიდან ეს ადგილები მდიდარია ნავთით, განა შეეძლო ეს ინგლის მოეთმინა? სამგვარად საშიში იყო ეს ინგლისისათვის: 1) ეკონომიურად: ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზარის დაგარვა, და დამუქრება ინდოეთს; 2) სტრატეგიულად: გერმანიის წაწევა ინდოეთისაგენ და სამხრეთ სპარსეთში ინგლისური ბაზის საფრთხეში ჩავარდნა; 3) ნავთიანი ადგილების დაკარგვა!

ინგლისი შეუდგა დიპლომატიურ ბრძოლას ოსმალეთის მთავრობასთან და 1906 წ. ერთმა ინგლისურმა კომპანიამ, რომელსაც მხარს უჭირდა ინგლისის ელჩი სტამბოლში, დაიწყო იმავე კონცესიაზე მოლაპარაკება. ამის შედეგად სულთანმა უარი უთხრა გერმანელებს. ეს და და ქიშპობა გაგრძელდა მსოფლიო ომამდე, იგი არ დასრულებულა და ბალდადის საკითხს საერთაშორისო ომის აღმოჩეთქაში თავისი წილი უდევს.

ნავთის სამხედრო როლი

მსოფლიო ომში

ევროპის სახელმწიფოთა შორის ნავთიანი ადგილები ჰქონდა მხოლოდ აესტრო-უნგრეთს, რუმინეთს და რუსეთს. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მნიშვნელოვანი ოდნობის ნავთს მოკლებული იყენენ. როგორც კი ომი დაიწყო, ნავთის კრიზისიც დაუყონებლივ აღმოჩდა, იმის მიუხედავათ, რომ ყველგან ყველა მეომარმა მთავრობამ ნავთისა და მის პროდუქტთა რეკვიზიცია მოახდინა. მაგრამ განა ეს უშველიდა? ეს დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას?

ომის წინ საფრანგეთის ჯარს ჰქონდა სულ ასი კამიონი (საბარგო აკტომობილი) ჯარის გადასაყვანად და მძიმე იარაღთა გადასაზიდათ — და უკვე ომის ერთი წლის შემდეგ ამავეს ჰქონდა 8500 და ომის უკანასკნელ წელს კი 70000 კამიონი.

ომის დასასრულს, მარტიდვარტო დასაცლეთის ფრონტზე, მომართებული გავშირეთა მხარეზე მუშაობდა 100.000 კამიონი!

ომის დაწყებისას, გერმანელებმა გადალაცეს ბელგია და ამასთან გერმანიის ჯარის შეიდი არეის საფრანგეთში შეიჩრა და 1914 წლის სექტემბრის პირველს დაიწყო მათი დიდი შეტევა. კრონპრინც ვილჰელმისა და ჰერცოგ ალბრეხტ ვილჰელმპურგის ჯარმა გაანალებულა ათა ფრანგული კორპუსი შამპანში (რაიმსისა და ვერდენს შუა, ხახჩე — ფორე-მალანკურტ-ვარენ). ფრანგები იდულებული გახდენ უკან დაუჩით, სამხრეთი, სტ. მენეპულ და ვერდენს შუა. გერმანელების მარჯვენა ფრთა — არმია ფონ კლუკის, ფონ ბუელოვის და ფონ ჰაუზენის შეუხერებლივ მიისწრაფოდე პარაზასაკენ. საფრანგეთის მთავრობა პრეზიდენტ პუანკარესთან ერთად, სექტემბრის სამს გაიხიზნა პარიზიდან ბორდოს.

გარმანელებმა მიაღწიეს მარნას, გადაეშვენ ამ მდანარეზე — პარიზისაკენ! — და ფონ კლუკის ჯარი პირდაპირ დაემუქრა ფრანგთა სატაცრო ქალაქს... — და აი, აქ მოხდა რაღაც, რისი შედეგიც შეიქნა გერმანელთა ძოვეამოსილი წინსვლის შეფერხება.

მაშინ როცა გერმანელი კრონპრინცისა და ჰერცოგ ალბრეხტის არმია შეუხერებულ იქნა ვერდენით და მისი ციხესიმაგრეებით, ბავარიის კრონპრინცის არმია კი მუდმივად ბრძოლაში იყო და ძლიერ მიიწევდა (ნანსი-ეპინალ), ლენერალ უოფრიმა შესძლო მარნას სამხრეთით დიდალი ჯარის მოგროვება; და პარიზის გუბერნატორ, ლენერალ გალიენის დაბეჭითებითი მოთხოვნით სექტემბრის ხუთიდან დაწეუბულ იქნენ ფრანგთა სასტიკი თავდასხმანი გერმანელთა წინააღმდეგ ხაზე — პარიზიდან ვერდენამდე. ბევრი, ბევრი სისხლი დალვარეს ფრანგებმა ამ გადამჭრელ შეტევათა დროს და სექტემბრის ათიდან დაიწყო გერმანელების უკანდახევა ესნამდე. დასცალეს რეიმსი, არაგონენვალდი... გადარჩა პარიზი და მასთან ერთად საფრანგეთი! ეს იყო სახელგანთქმული და სისხლოვანი ბრძოლები მარნასთან. ამას შემდეგ იწყება 650 კილომეტრის სიგრძეზე მუდმივი პოზიციური ომი (შტელუნგსკრიიგ).

მარნაზე გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა ავტომობილია!

ჯარების მისაშველებლად გამოყენებულ იქნა მობილიზაციაქმნილი ავტომობილები, რომლითაც ათასობით მიაყარეს ჯარი აღნიშნულ ხაზე.

ერთერთი დამსახურებული ავტომაბილი ტაქსი, რომლითაც მეშვიდე დივიზიის ხუთი ჯარისკაცი გადაყვანილ იქნა, დღეს როგორც ისტორიული ნაშთი განისვენებს პარიზის მუხეუმში (ოტელ დეზავალიდ). ამ ავტომობილით, როგორც წარწერა გვაჩენებს, ჯარისკაცები გადაუკვანიათ განიიდან ნანტიო-ლე-ოდუენამდე 1914 წლის, სექტემბრის 7-ს.

იგივე წარწერა გვიამბობს, რომ შოთერს უპასუხნია ლენინის
გალიერეისათვის: —

«მოქმედებენ ვით ამხანაგები, მიღიან სადაც საჭიროა!»

ათასობით კამიონისათვის და მოტორებისათვის, ასობით ჰაე-
როპლანებისათვის, ასობით ტანკებისათვისა და ტრაქტორებისათვის,
ასაფეთქებელ მასალათა დასამზადებლად, სამხედრო გემთათვის, წყალ-
ქვეშა ნავებისათვის — ნავთით და მისი პროდუქტები: — ბენზინი, ბენ-
ზოლი, სათბობი ნავთი, საზეთი, ულიცერინი და სხ. აუცილებელ საჭი-
როებად გადაიქცა.

ანტარტის სახელმწიფოთა მთავრობებმა ნავთის მოსაპოებლად
სპეციალური კომიტეტები შექმნეს. უდაფესი სანავთო საზოგადოება—
როიალ დახ-შელი, ანგლო პერშიანი და სხ. ამუშავდა ანტარტის ჯარისა-
თვის. მაგრამ ეს მიწოდება საკმარისი არ იყო, ნავთის ნაკლულოვანება
მეტად საგრძნობი შეიქნა.

ომის დაწყებისას ინგლისის ფლოტის 45 პროც. ნავთს ხმარობ-
და, ომის დროს გადააკეთეს ზოგი ძველი და ააგეს ახალი სამხედრო გე-
მები, რომელიც ნავთით მუშაობდენ; ამის გამო და საერთოდ, ნავთის
ხმარება ინგლისის ფლოტში თვიურად 130.000 ტონადან 330.000 ტონამ-
დე ავიდა!

«ისე მცირე იყო გემის სათბობი ნავთის მარაგი,» სთქვა შემდეგ
ლორდ კერჩონმა: — «რომ ფლოტი იძულებული ხდებოდა ხოლმე მა-
ნევრები შეემცირებია და სერიოზულად ფერხდებოდა თავის მოვალე-
ობათა შესრულებაში!»

1917 წლის ივნისში, ნავთის მარაგი უდრიდა 950.000 ტონს და
თვიური ხარჯვა კი 400.000!

მწვავე კრიტიკული მდგომარეობა!

ამერიკელი ელჩი ვ. ჰ. პეიჯი თავის მოგონებებში იხსენიებს შე-
მდეგ შერილს ლორდ ნორტკლიფისას, რომელიც ინგლისის კომისიონე-
რი იყო ამერიკაში: —

«ლორდ ნორტკლიფმა ეხლახან მიიღო კაბლოგრამა ლორდ ბა-
ლფურისაგან, რომლითაც იგი ატყობინებდა, რომ ინგლისის ფლოტი
საფრთხეშია; ნავთის სიმცირის გამო ფლოტი ჩერდება».

«წავიკითხე და გადავიკითხე თეპეშა», მწერდა ლორდ ნორტკლი-
ფი — «და დაბოლუს დავურეკე სტანდარდ თილ კომპანიის კაცს. ჩვენ
შევხვდით ერთმანეთს, და მივეცი მას კაბლოგრამა, იმის მიუხედავათ,
რომ იგი იყო „მეტად საჩქარო, მეტად საიდუმლა““. მან წაიკითხა ის
ორჯერ ნელად, დამიბრუნა უკან და მითხრა: — „თუ შესაძლებელია

განეთდება»-ი. მე ფასის შესახებ არაფერი მით 'ვამს. იმ ხალხმა მაშინ-
ვე დაიშუო მუშაობა და ნავთი წავიდა ატლანტიკის გზათ, და უფრო
იეფად ვინემ მოველოდით. მათ შეეძლოთ ჩვენგან გამოეშურათ მიღი-
ონები, თუ ისარგებლებდენ ჩვენი გაჭირვებით. როცა მე მათ მად-
ლობა ვუთხარი, მათ მხოლოდ შემნიშვნეს: «ეს ომი, რაკორც თ'ვენა,
ისე ჩვენიც არის!»-ი.

მოკავშირეებს სჭირდებოდათ ნავთას მეტად დადი აღნობა თა-
ვისი უდიდესი ფლოტისათვის, უზიცვი აკტომობილებისათვის; პარო-
პლანებისათვის და სხ. და კრიტიკულ მომენტში, ოდეს მოკავშირეების
ბედი სასწორზე იყო დაფებული, — კლემანსი კაბლუკამას უგზავნიდა
ამერიკის პრეზიდენტ გილსონს (1917 წლის დეკემბრის 15-ს): —

ამ ომის გადამწყვერ მომენტში, როცა მომავალ წელში, დაიშუ-
ბა მეტად მნიშვნელოვანი ოპერაციები საფრანგეთას ფრონტზე, არ შე-
იძლება საფრანგეთის ჯარს მოაკლდეს ერთ წუთს ნავთი, რომელიც
მისი კამიონებისათვის, პაროპლანებისათვის და არტილერიის ტრანს-
პორტისათვის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს. ნავთის მიწო-
დებაში შეფერხება გამოიწვევს ჩვენი ჯარის მეყვენულ მოშლას და
შეიძლება მოკავშირენი გვაიძულოს არახელსაყრელ ზავზე»-ი.

შემდეგ, სთხოვდა რა კლემანსო გამოეგზაუნა მოკავშირეთა ჯა-
რისათვის ნავთით დატვირთული გემები, თავის დეპეშას ამნაირად ათა-
ვებდა: —

«მოკავშირეთა ბედი სასწორზეა; თუ მოკავშირეთ არა სურთ წა-
აგონ ომი, მაშინ თქვენ, საფრანგეთზე გერმანელების შემოტევის უდი-
დეს წუთში, არ უნდა დაგვაკლოთ არც ერთი წვეთი ნავთისა, რომე-
ლიც ისეა აუცილებელი, როგორც სისხლი მომავალ ბრძოლებში!».

და მართლაც, მოკავშირეთა ჯარებმა მიიღეს აუარებელი ნავთი.
მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები იმში ჩაერიენ, შე-
ქმნილ იქნა მოკავშირეთაშორისო სანავთო კონფერენსი, რომელსაც და-
ეკისრა ყველა ფრონტისათვის ნავთის მიწოდება. სენატორი ბერანეე,
ნავთის გენერალური კომიტეტის თავჯდომარე, ჭეშმარიანებას ამბობდა:

«წარმოიდგინეთ, მარშალ ფოშს, ანტანტის მთავარსარდალს; გუ-
ნერალ დიაძს, იტალიის ფრონტზე; გენერალ ფრანშე დესპერეს, სალო-
ნიკში; ლორდ ბიიტის, მოკავშირეთა ფლოტის მთავარსარდალს, არა-
სოდეს აღარ მოჰკლებიათ ნავთი 1917 წლის შუადან...»

მოკავშირეებმა გაიმარჯვეს.

დროებითი ზავის ჩამოგდების რამდენიმე დღის შემდეგ, 1918
წლის ნოემბრის 21-ს ლანკასტერ პაუზში, მოკავშირეთაშორისო სანავთო
ყრილობაზე ლორდ კერზონმა სთქვა: —

«როგორ შეგვეძლო ჩენ უნაკოდო უზრუნველგვეუყო ფლოტის მოძრაობა, ჯარის ტრანსპორტი და სხვადასხვა ასაფერებელ მასალათა და მშადება? როგორ შეგვეძლო მოგვეხდინა აუცილებელი ტრანსპორტი ჯარებისა და მუნიციპისა სხვადასხვა ფრონტზე? ნავთის ყველა პროდუქტი, სათბობი ნავთი, გაზნავთი, გაზოლინი, ზეთი და სხ. თამაშობენ ამ ომში თანაბარ მნიშვნელოვან როლს. მართლაც, ჩენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მოკავშირენი გამარჯვებამდე მიცურდენ ნავთის ტალღებზე».

«თვითეულს, ვინც ყოფილა ფრონტზე, თვალში მოხვდებოდა ის მეტისმეტად მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ნავთმა ითამაშა — და ერთი მეტად გასაკვირველი რამ, რასაც კაცი ფლანდრიაში და საფრანგეთში ნახავდა, იყო ურიცხვი ჯარი ავტომობილებისა, რომელიც ომის წარმოების უდიდეს რეგანიზაციის ნაწილს წარმოადგენდა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩენი ჯარი წარმატებით ვერ დაასრულებდა ომს, თუ მას ნავთი არ ეწებოდა»...

და ბერანეემ სთქვა: —

«ეხლანდელი გამარჯვება მიღწეულია პუალუს, ტომმის, ადილის და იანკის სისხლით, მაგრამ ეს გამარჯვება არ იქნებოდა, რომ არ გვქონდა აგრეთვე დედამიწის სისხლი, რომელსაც ნავთი ეწოდება. ეს გამარჯვება მომავალ საუკუნოებში წოდებულ იქნება ნავთის გამარჯვებად»...

მართალიც არის! შეიძლება ითქვას, რომ ამ მსოფლიო ომში იყო ბრძოლა კაშიონსა და რკინიგზას შორის, იყო დუელი ქვანახშირსა და ნავთს შორის! ამ ბრძოლაში გამარჯვება ნავთმა იდლესასწაულა.

«მხედარი»-ს რედაქცია ლრმა თანავრჩნობას უცხადებს ბ-ნი ვახტანგ ლამბაშიძის დამწუხრებულ ოჯახს ძეირფასი შეიღის გივის უდროო დალუპვის გამო.

უცხოეთის სამხედრო ლიტერატურა 6

ქართულ ენაზე თითქმის სრულებით მოკლებული ვართ სამხედრო ლიტერატურას, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს; ამიტომ სანამ არ შეგვიქმნია ჩენი საკუთარი და საფუძვლიანი ლირ ების ნაშრომები ამ დარგში, საჭიროდ ვთვლით, შეძლებისდაგვარად მივაწოდოთ მციონებელთ ის ლირს შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც დიდი ხანია დამკვიდრებული და გაერცელებული არიან ევროპის ლიტერატურაში და მხედრული განვითარებისათვის წარმოადგენენ ძეირფას სახელმძღვანელოებს. ისინი სასარგებლო არიან აგრეთვე კერძო პირთათვისაც, რომელთაც შეძლებას მისცემენ იქონიონ ნამდვილი და შეგნებული შეხედულება როგორც სამხედრო ხელოვნებაზე, ისე სამხედრო მოქმედებებზე.

დავიწყებთ გერმანელი გენერალი კლაუსერცის თხუზულებიდნ; კლაუსერი არის სამხედრო ხელოვნების ერთი უდიდესი თეორეტიკოს-თაგანი მეცნამეტე საუკუნის დასაწყისში. მისი წიგნები «ომის შესახებ» თუმცა სავსებით ვერ იქნენ მის მიერ დასრულებული მოულოდნელი გარდა ცვალების გამო, მაიც წარმოადგენენ დაუფასებელი ლირსების შრომებს, ეხლაც კიდევ, მათი დაწერის ასი წლის შემდევ, «რომლის ფორმა და შინაარსი არსებითად გამოსახავს ერთადერთ უდიდეს რამეს, რაიც ომის შესახებ გამოთქმულ იქნა».

ვინაიდან საბრძოლო მოქმედების წარმოების ტაქტიკა, იარაღის და ტექნიკის შეუდარებელი განვითარებისა და მრავალ მიღწევათა გამო სხვადასხვა დარგში, დროთა განმაცლობაში თანდათან იცვლება, ამიტომ

ამ ავტორის ზოგიერთი მსჯელობანი, რომელიც ეხებიან განსაკუთრებული ბით ტაქტიყის დარგს, მოგვეჩენება არა სავსებით გასაგებად, როგორც დამყარებული წარსული დროის გამოცდილებებზე და ჩვეულებებზე; მაგრამ უნდა ვეცადოთ და შევსძლოთ გავარჩიოთ «დროებითი სავნები, რომელიც დამყარებული არიან უკვე მკვდარ სინამდვილეზე», ბრძოლის და ომის ნანდვილ და არსებით დებულებათაგან — და თუ კი ამას შევძლებთ, მით უფრო ცხადათ დავინახავთ ამ დებულებათა უცვლელობას, რომელიც გენიალურად გამოთქმული იყვენ ავტორის მიერ, რომელსაც დაუშა პრატიკულშა გამოკვალებამ და ფილასუფაურმა განათლებამ შეძლება მისცა ლრმა და დაწვრილებითი ანალიტიური გამოკვლევანა გამოესახა დასკვნილ, სინტეტიურ ფორმულებით».

ვეცდებით ხსენებულ ნაწარმოებიდან ამოვკრიფულ ის ღირსშესამჩნევი თავები, სადაც არის ბაასი სამხეურა ხელაუწევებას და მისი საკითხების ურყევ დებულებათა ირგვლივ.

ლ. მ.

გენერალი კარლ ფონ კლაუზევიც

რა არის ომი?

I. შესავალი

განზრახული გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ჩვენი საკის თკითეული შემადგენელი ელემენტი, შემდეგ თკითეული მისი ნაწილი, და ბოლოს კი შინაგანი გავშირი მთლიანი საგნისა. ამრიგად, თანდათანობით გადავალთ მარტივ საგნებიდან რთულზე. აյ მეტად, ვინემ სხვაგან უნდა დავიწყოთ და შევეხოთ მთლიან არსს, ვინაიდან ერთდროულად რომელიმე მისი შემადგენელი ნაწილის განხილვის დროს უნდა ვფიქრობდეთ აგრეთვე მთელ საგანზედაც, როგორც ერთ მთლიანზე.

განმარტება მცნებისა

არ შევუდგები ერთბაშად ომის მძიმე პუბლიცისტურ განმარტებას; შევჩერდებით შის ძირითად, პირველყოფილ სახეზე — ჭიდაობაზე. ომი არ არის სხვა რამ, თუ არა მხოლოდ გაფართოებული ჭიდაობა — შებრძოლება. იმის მაგივრად რომ განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანი, უთვალავი რიცხვი შეჭიდებათა, რომელთაგანაც შესდგება ომი, უკეუესი

იქნება წარმოვიდგინოთ აქ ორი მოჭიდავე. ყოველი მათგანი სცლილობს ფიზიკურ ძალის საშვალებით აიძულოს მოპირდაპირე რომ შეასრულების საკუთარი ნება-სურვილი, და მისი უახლოესი მიზანია დასდოს მიწაზე მოპირდაპირე და ამით შექმნას ის უძლური შემდეგი წინააღმდეგობის გაწევისათვის.

მაშ, ომი არის ძალმომრეობის აქტი, რომელსაც მიზნად აქვს იძულება მოპირდაპირესი ჩვენი ნება-სურვილის შესასრულებლად.

ძალმომრეობა ეტანება ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველ მონაპოვარს, რომ ჯაუჭიოს წინააღმდეგობა ძალმომრეობასვე. უმნიშვნელო, თითქმის სრულებით არა საყურადღებო შეზღუდვანი, რომელთაც იღებს თავის თავზევე ეგრედ წოდებული საერთაშორისო კანონების სახელით, არიან მისი თანმხლებელნი, რომელნიც სრულებითაც არ ასუსტებენ არსებითად მის ძალას. ძალმომრეობა, და მხოლოდ ფიზიკური ძალმომრეობა (მორალური, ასე ვსთვათ, არ არსებობს გარეშე სახელმწიფო და კანონის მცნებისა), არის მაშ საშვალება, იმ დროს, როდესაც მიზანი არის მოხვევა მტერზე ჩვენი ნება-სურვილისა. რომ ამ მიზანს მივადწიოთ, მტერი უნდა განვაიარალოთ — და სწორედ ეს წარმოადგინს სამხედრო მოქმედების უშუალო მიზანს. ეს უშუალო მიზანი ფარავს როგორდაც ომის არსებით მიზეზს და განჩე სდებს მას, როგორც ისეთ რამეს, რომელიც არ ეკუთვნის საკუთრივ ამ.

3. ძალის მოხმარა უკიდურესობაში

კეთილი გულის მქონე არსებანი შეიძლება ფიქრობდენ, რომ შესაძლებელია მოპირდაპირის ხელოვნურად განიარალება; ან მისი წაქცევა მრავალ ჭრილობათა მიუყენებლივ, და რომ აქეთკერ უნდა მიისწრაფოდეს სამშედრო ხელოვნება. თუმცა ეს ძალიან ლამაზად გამოიყურება, მაგრამ ამგვარი შეცდომა აუცილებლად გამოსწორებული უნდა იქნეს; ისეთ სახითათო საქმეში, როგორიცაა ომი, ყველაზე მეტად მანებელია მხოლოდ შეცდომანი, რომელნიც გამომდინარეობენ გულკეთილობისგან. ვინაიდან ფიზიკური ძალმომრეობის მოხმარება მთელი სისრულით, სრულებითაც არ აყენებს განჩე გონების თანამშრომლობას, ამიტომ ვინც გამოიყენებს ამ ძალმომრეობას უყოყმანოდ, სისხლის დაუზოგველად — სძლევს მუდამ მოპირდაპირეს, რომელიც ეგრეთვე ასე მოიქცევა. ამრიგად, თავს ახვევს მოწინააღმდეგეს მოქმედების მეთოდს და ეგრე ართავე გაემართებიან უკიდურესობამდე, შეუზღუდვათ ერთი მეორის გადაწარჩებისაკენ.

ასეთია ნამდვილი შეხედულება ამ საკითხზე; და იქნებოდა უაზ-რო საქმედ და კიდევ პირდაპირ მოუსახრებელ მისწრაფებად, რომ შეძლებული ომის სასტიკი საფუძველით, თვალს ვხუჭავდეთ მის არსებები.

თუ კი ამი განათლებულ ხალხთა შორის არის უფრო ნაკლებად სასტიკი. და ჩაგლებ ვამანადგურებელი, ვინემ გაუნათლებელ ხალხთ შორის, ამის მიზეზია სახელმწიფო როგორც შინაგანი, ისე საერთაშორისო საზოგადოებრივი მდგომარეობა. ამ მდგომარეობიდან და დამოკიდებულობიდან გამომდინარეობს ომი, მისი პირობები, სიღირე და სიძლიერე; მაგრამ ეს მიზეზები არ წარმოადგენს ომის არსს, არამედ მხოლოდ მის პირობებს, და არ შეიძლება საკუთრივ ამის ფილოსოფიაში შეტანილ იქნენ დებულებანი ზომიერობისა, აბსურდის ჩაუდენლად.

ბრძოლა ხალხთ შორის უმთავრესად შესძეგება არ სხვა და სხვა ფუძესაგან: მტრული გრძნობისაგან და მტრული განზრახვისაგან. ეს უკანასკნელი ფუძე, როგორც ყველაზე უფრო საერთო, გავხადეთ ჩვენი განმარტების დამახასიათებელ მხარედ. მართლაც, შეუძლებელია წარმოდგენა სიძულვიდის გრძნობისა, თუნდაც პირკელყოფილ ინსტიკთან მოხაზლვესი, რომელიც მოკლებული იქნება მტრულ განზრახვას, მაშინ როდესაც, უმეტეს შემთხვევაში, მტრული განზრახვანი სრულებით, ან, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ხარისხით მოკლებულია სიძულვილის გრძნობას. ველურ ხალხში სჭარბობენ გრძნობათაგან წარმომობილი განზრახვანი, განათლებულ ხალხში კი — გონებისაგან. ეს განსხვავება არა ძეგს თვით ბარბაროსობისა თუ ცივილიზაციის ბუნებაში, არამედ მათ თანამგზავრ გარემოებებში, დაწესებულებებში და სხვაში, და არ არის გამოუნაკლისოდ ყოველგან, არამედ მხოლოდ უმეტეს შემთხვევაში, ისე კი თვით უდიდესად განათლებულ ერებშიაც ვხვდებით ხანდახან ერთი მეორესადმი უალრესს სიძულვილს.

აქედან ვხედავთ, თუ როგორი შეცდომა იქნებოდა, რომ ომი განათლებულ ერთა შაհის ჩაგვეთვალა მათ მთავრობათა გონების ჩვეულებრივ განსახიერებად, და წარმოგვედგინა ის სრულებით მოკლებული ყინიანობას (ყინიან გრძნობას). ეს რომ ეგრე ყოფილიყო, მაშინ არ დასჭირდებოდა მას სრულებით ნამდილა მებრძოლი მასსა, არამედ მხოლოდ მათა ერთა მეორესადმი შეთანხმება და შეიცვლებოდა ალგებრის-მაგვარ მოქმედებად.

თეორიამ კიდევაც დაიწყო გადახვევა ამ მიმართულებით, და მხოლოდ უკანასკნელი ომების მოვლენებმა გადაიყვანეს ის ნამდვილ გზაზე. მაშ თუ კი ომი არის ძალმომრეობის აქტი, ამით ის ეკუთვნის გრძნობათა სფეროს. ეს გრძნობავე არის ან ომის მიზეზი ან-და გამომდინარეობს

კიდევ მისაგან პატარა თუ დიდი ხარისხით, და ეს ხარისხი არ არის და-
მოყიდებული ცივილიზაციის სიმაღლისაგან, არამედ მტრული ინტერე-
სების წონის და გამძლეობისაგან.

მაშ თუ ვხედავთ, რომ განათლებული ხალხები არ ჰქოცავენ
ტყვებს, არ ანადგურებენ ქალაქებსა და მხარეს, ხდება ეს იმის გამო,
რომ გონებამ თანდათან უფრო მეტი გავლენა იქმნია ომის წარმოების
სახეზე, გვასწავლა გამოყენება ძალმომრეობის მოხმარებაში უფრო ნა-
ყოფიერი საშვალებებისა, ვინემ პირველყოფილი ინსტიქტის განსახიერე-
ბა. დენთის გამოგონება და სასროლი იარაღის თანდათანი განვითარება სა-
მაოდ გვიჩვენებს, რომ მისწრაფება მოპირდაპირის გასანადგურებლად,
რომელიც ძევს თვით ომის მცნებაში, არავითარ შემთხვევაში არც შე-
ჩერებულა და არც დარჩენილა გვერდით ცივილიზაციის განვითარების
გამო.

ვიმეორებთ: — ომი არის ძალმომრეობის აქტი, და მის შეფარ-
დებისას არ არსებობენ საზღვრები; ორთავე მოპირდაპირენი თავიანთ
თავს ახვევენ კანონებს, იქცება ერთი მეორეზე გაკლენიანობა, რომელ-
საც თავისთვავად მიჰყავს ისინი უკიდურესობამდე. ეს არის პირველი გა-
ვლენიანობა ერთმანეთზე და პირველი უკიდურესობა, რომელსაც ვწერე-
ბით ჩვენს მსჯელობაში.

4. მიზანი არის მტრის დაუძლურება

ვსთქვით, რომ საომარი მოქმედების მიზანი არის მტრის დაუძ-
ლურება. დავამტკიცებთ ეხლა, რომ ეს აუცილებელია, ყოველ შემთხვე-
ვაში, თეორიაში მაინც.

თუ კი მოპირდაპირემ უნდა შესარულოს ჩვენი ნება-სურვილი,
უნდა ჩავაყენოთ ის უფრო ძნელ პირობებში, ვინემ ის მოთხოვნილება,
რომელსაც წავუყენებთ მას. უარყოფითი მხარე ამ მდგომარეობისა არ
უნდა იქნეს ცვალებადი, ყოველ შემთხვევაში არ უნდა გამოიყურებოდეს
ამგვარად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპირდაპირე დაუცილ
უფრო შესაფერის შუას და არ იქნება განშეაბილი დათმობებზე. ყოვე-
ლი ცვლილება ამ მდგომარეობისა, გამოშვეული შემდეგი სამხედრო მო-
ქმედებებით, უნდა იყოს მოპირდაპირის შეგნებისათვის მაინც, მისთვის
არასასარგებლო. უკიდურესი მდგომარეობა, რომელშიაც შესაძლებელია
ჩავარდეს ომის მწარმოებელი, არის სრული უძლურება. მაშ თუ გვეურს
სამხედრო მოქმედებათა საშვალებით ვაიძულოთ მოპირდაპირე შესარუ-
ლოს ჩვენი ნება-სურვილი — ან სრულებით უნდა განვაიგრალოთ ის, ან

ჩავაყენოთ კიდევ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც იშვევს განიარაღების საშიშროებას. აქედან გამომდინარეობს, რომ: — განიარაღება, ან ძლევა მტერის, ან კიდევ როგორი სახელიც არ უნდა ვუშოდოთ ამას, უნდა იყოს მუდამ მიზნად სამხედრო მოქმედებათა.

მაგრამ ომი არ წარმოადგენს ცოცხალი ძალების მოქმედებას მკვდარ მასსაზე, ვინაიდან ასეთი სრული მორჩილება ერთერთ მხარესი, არ იქნებოდა ომის წარმოება. წინაუკმოდ, ომი არის მუდამ მხოლოდ ცოცხალი ძალების შეჯახება. ყველაფერი მაშ, რაც ჩვენ ვსოდეთ, სამზედოო მოქმედებათა საბოლოო მიზნების შესახებ, ეფარდება ორივე მხარეს. და აქაც არის, მაშასადამე, ხელახლად, ერთმანეთზე გავლენიანობა. სანამ საბოლოოდ არ ვსძლევთ მოპირდაპირეს, უნდა ვჰიმობდეთ, რომ ის მე მძლევს; არა ვარ მაშინ დაიმედოვნებული საკუთარი მოქმედებით, არამედ ის მიგარნახებს მე კანონებს, როგორც მე მას. აი მეორე ერთმანეთზე გავლენიანობა, რომელსაც მივყევართ მეორე უკიდურესობამდე. (მეორე ერთმანეთზე გავლენიანობა).

5. უკანასკნელი ძალების დაჭიმვა

თუ გვსურს მოპირდაპირის ძლევა, საკუთარი ძალა უნდა შევადაროთ მის წინააღმდეგობის შეძლებას. ძალა ეს არის შედევგი ზოგიერთ გარკვეულ პირობებისა, რომელიც არიან მუდამ განუყრელად; ეს არის სახელდობრ: საშვალებათა გროვა, რომელიც გაგვაჩნია და ნებისყოფის დაჭიმვა.

ხელთარსებულ საშვალებათა გროვის განსაზღვრა მუდამ შესძლებელია, ვინაიდან ეყრდნობა ის (თუმცა არა სავსებით) რიცხვებს, ნებისყოფის დაჭიმვის სიძლიერის გაზომვა უფრო მეტად ძნელია; მისი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ომის მოტივების ძალის მიხედვით. თუ წარმოვიდგენთ, რომ მოპირდაპირის ძალა აღემატება ჩვენ შეძლებას, ამ შემთხვევაში, წარვუყენებთ ჩვენი შეძლების უმაღლეს ხარისხს. მაგრამ მოპირდაპირეც ამასვე სჩადის; აქედან გამომდინარეობს ძალების ახალი შეხლა-შემოხლა, რომელსაც ისევ თეორეტიულად მივყევართ უკიდურესობამდე. ეს არის მესამე ერთმანეთზე გავლენიანობა და მესამე უკიდურესობა, რომელსაც ვწვდებით. (მესამე ერთმანეთზე გავლენიანობა).